

სს „არდი დაზღვევა“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	1
მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	4

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა.....	5
2. მომზადების საფუძველი.....	5
3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა.....	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....	18
5. საწარმოთა გაერთიანება და ერთობლივ ოპერაციაში ინვესტიციის შეძენა.....	20
6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	21
8. დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებები.....	23
9. გაცემული სესხი.....	34
10. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები.....	34
11. ძირითადი საშუალებები.....	35
12. გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები.....	36
13. სხვა აქტივები.....	36
14. სხვა ვალდებულებები.....	36
15. ინვესტიციის შედეგი.....	37
16. ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები.....	37
17. აქციებზე დაფუძნებული გადახდის სქემები.....	37
18. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.....	38
19. ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები.....	38
20. გადასახადები.....	38
21. საკუთარი კაპიტალი.....	39
22. პირობითი ვალდებულებები.....	40
23. რისკისა და კაპიტალის მართვა.....	40
24. სამართლიანი ღირებულების შეფასება.....	45
25. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები.....	46
26. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	48

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „არდი დაზღვევის“ აქციონერებსა და სამეთვალყურეო საბჭოს

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „არდი დაზღვევის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ არსებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (ბესსს–ის კოდექსი) და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება საქართველოში ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტს და შესრულებული გვაქვს ამ მოთხოვნებით და ბესსს–ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და ჩვენ მიერ მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი სავარაუდოდ გახდება აუდიტორის წინამდებარე დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და ჩვენ არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს–ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სამეთვალყურეო საბჭოს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.



დმიტრო იურგელევიჩი (SARAS-A-644274)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

2025 წლის 14 აპრილი

თბილისი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნები	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	8,483	–
საბანკო ანაზღაურებები	7	19,562	–
სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივი	8	–	–
გადაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივი	8	1,074	–
გაცემული სესხები	9	3,091	–
აქტივის გამოყენების უფლება	10	967	–
ძირითადი საშუალებები	11	500	–
არამატერიალური აქტივები	12	968	–
გუდვილი	12	16,524	–
სხვა აქტივები	13	696	–
მთლიანი აქტივები		51,865	–
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი – ჩვეულებრივი აქციები		3,088	–
სააქციო კაპიტალი – პრივილეგირებული აქციები		3,000	–
საემისიო შემოსავალი		25,250	–
გაუნაწილებელი მოგება		4,360	–
სულ საკუთარი კაპიტალი	21	35,698	–
ვალდებულებები			
სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული			
ვალდებულება	8	12,234	–
გადაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული			
ვალდებულება	8	1,167	–
საიჯარო ვალდებულებები	10	1,007	–
სხვა ვალდებულებები	14	1,759	–
მთლიანი ვალდებულებები		16,167	–
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		51,865	–


ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად სს „არდი დაზღვევის“ დირექტორთა საბჭოს მიერ:

გენერალური დირექტორი

ფინანსური დირექტორი

მიხეილ ჯაფარიძე

ალექსანდრე ქავთარაშვილი



2025 წლის 14 აპრილი



თბილისი, საქართველო

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნები	2024	2023
სადაზღვევო ამონაგები		61,761	-
სადაზღვევო მომსახურების ხარჯი		(47,940)	-
გაწეული სადაზღვევო მომსახურების შედეგი, ფლობილ გადაზღვევის ხელშეკრულებებამდე	8	13,821	-
გადაზღვევის პრემიების განაწილება		(1,994)	-
დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებისთვის		877	-
გადამზღვეველებისგან ანაზღაურებადი თანხები		(1,117)	-
წმინდა ხარჯი ფლობილ გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან	8	(1,117)	-
სხვა დაზღვევასთან დაკავშირებული შემოსავალი/(ხარჯი)		-	-
გაწეული სადაზღვევო მომსახურების შედეგი		12,704	-
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი საპროცენტო შემოსავალი		1,691	-
ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი		(10)	-
ინვესტიციის შედეგი	15	1,681	-
ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები	16	(4,833)	-
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	18	(1,568)	-
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	19	(454)	-
წმინდა სხვა საოპერაციო (ხარჯები) / შემოსავალი		(180)	-
სხვა ხარჯები		(7,035)	-
საოპერაციო მოგება		7,350	-
საკუროსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა		81	-
საპროცენტო ხარჯი	10	(71)	-
დასაბეგრი მოგება		7,360	-
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა მოგება		7,360	-
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წმინდა მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		7,360	-



ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად სს „არდი დაზღვევის“ დირექტორთა საბჭოს მიერ:

გენერალური დირექტორი

ფინანსური დირექტორი

მიხეილ ჯაფარიძე

ალექსანდრე ქავთარაშვილი

2025 წლის 14 აპრილი

თბილისი, საქართველო

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	ჩვეულებ- რივი აქციები	პრივილეგი- რებული აქციები	საემისიო შემოსავალი	გაუნაწილე- ბელი მოგება	მთლიანი საკუთარი კაპიტალი
2023 წლის 31 დეკემბერი (დაფუძნების თარიღი)	-	-	-	-	-
წმინდა მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2023 წ.	-	-	-	-	-
წმინდა მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	-	7,360	7,360
აქციონერებისთვის გადასახდელი დივიდენდები (21-ე შენიშვნა)	-	-	-	(3,000)	(3,000)
ჩვეულებრივი აქციების გამოშვება (21-ე შენიშვნა)	3,088	-	24,727	-	27,815
პრივილეგირებული აქციების გამოშვება (შენიშვნა 21)	-	3,000	-	-	3,000
აქციებზე დაფუძნებული გადახდები (მე-17 შენიშვნა)	-	-	523	-	523
31 დეკემბერი, 2024 წ.	3,088	3,000	25,250	4,360	35,698


ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად სს „არდი დაზღვევის“ დირექტორთა საბჭოს მიერ:

გენერალური დირექტორი

ფინანსური დირექტორი

მიხეილ ჯაფარიძე

ალექსანდრე ქავთარაშვილი



.....

2025 წლის 14 აპრილი

თბილისი, საქართველო



ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნები	2024	2023
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
მიღებული სადაზღვევო პრემია	8	62,378	–
გადახდილი სადაზღვევის პრემია	8	(952)	–
გადახდილი სადაზღვევო ზარალები	8	(42,402)	–
მიღებული სადაზღვევის მოთხოვნები	8	78	–
გადახდილი აკვიზიციური ხარჯები	8	(3,569)	–
გადახდილი ხელფასები და სარგებელი		(3,893)	–
მიღებული პროცენტი	7,15	300	–
გადახდილი სხვა საოპერაციო ხარჯები		(1,638)	–
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები დაზღვრამდე		10,302	–
გადახდილი მოგების გადასახადი		–	–
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		10,302	–
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული (გამოყენებული) ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(132)	–
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(340)	–
ბიზნესის შეძენა	5,12	(6,912)	–
ერთობლივ ოპერაციაში წილის შეძენა	5,12	(654)	–
გაცემული სესხები	9	(3,000)	–
განთავსებული დეპოზიტები გარანტიებზე	7	(73)	–
საბანკო ანაზღაურების განთავსება	7	(19,700)	–
შემოსულობა საბანკო ანაზღაურებიდან	7	1,500	–
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(29,311)	–
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ჩვეულებრივი აქციების გამოშვებით მიღებული შემოსავალი	21	27,791	–
შემოსულობა პრივილეგირებული აქციების გამოშვებიდან	21	3,000	–
გადახდილი დივიდენდი	21	(3,000)	–
სალიზინგო ვალდებულებების დაფარვა	10	(344)	–
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		27,447	–
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		45	–
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		8,483	–
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	6	–	–
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	6	8,483	–



ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად სს „არდი დაზღვევის“ დირექტორთა საბჭოს მიერ:

გენერალური დირექტორი

ფინანსური დირექტორი

მიხეილ ჯაფარიძე

ალექსანდრე ქავთარაშვილი

2025 წლის 14 აპრილი

თბილისი, საქართველო

5–48 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

(ათას ლარში)

1. ძირითადი საქმიანობა

სს „არდი დაზღვევა“ (შემდგომში „კომპანია“), საინდენტიფიკაციო ნომრით 405662242, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად 2023 წლის 3 დეკემბერს დაფუძნდა.

ბიზნესის შეძენის ხელშეკრულების თანახმად, 2024 წლის 1 მაისს, კომპანიამ შეიძინა სადაზღვევო პორტფელის ნაწილი, გარკვეული უფლებებით, ვალდებულებებითა და ბრენდით, სს „სადაზღვევო კომპანია ავტოგრაფისგან“ (მე-5 შენიშვნა).

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის აქციების 95%-ს ფლობს სს „ა ჯგუფი“ (შემდგომში „მშობელი საწარმო“), რომლის საბოლოო მფლობელია დიდ ბრიტანეთში დაფუძნებული და ლონდონის საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს კაპიტალი“, ხოლო დანარჩენ 5%-ს ფლობს „პრობუს კაპიტალი“. გარდა ამისა, სს „ა ჯგუფი“ ფლობდა 3 მილიონი ლარის პრივილეგირებულ აქციებს კომპანიაში. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის აქციების 100%-ს ფლობდა სს „სადაზღვევო კომპანია ავტოგრაფი“, რომლის საბოლოო მფლობელები იყვნენ შპს „გაზელ ფაინენს ჯორჯია“, არმაზ თავაძე, ზაზა ნიშნიანძე და სხვა უმცირესობის წილის მფლობელები.

კომპანიის მმართველი ორგანო არის სამეთვალყურეო საბჭო. კომპანიას უძღვებიან: გენერალური დირექტორი, ფინანსური დირექტორი, ბიზნესის განვითარების დირექტორი და საოპერაციო დირექტორი.

კომპანია საქმიანობს ჯანმრთელობის, ქონების და უბედური შემთხვევების დაზღვევის სეგმენტებში. კომპანია ფლობს როგორც სიცოცხლის, ისე არასიცოცხლის დაზღვევის მომსახურების საქართველოში გაწევისთვის საჭირო ლიცენზიას. მისი სათავე ოფისი მდებარეობს თბილისში, ხოლო დამატებითი სერვისცენტრები – ბათუმში, ფოთსა და ქუთაისში. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. #3.

კომპანია არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „სავალდებულო დაზღვევის ცენტრის“ (შემდგომში „ცენტრი“) წევრი. ცენტრი დაარსდა სადაზღვევო სისტემაში მონაწილე 19 მზღვევლის მიერ სავალდებულო დაზღვევის სამართავად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, უცხო ქვეყნებში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელები/მძღოლები საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისთანავე ვალდებული არიან, დააზღვიონ თავიანთი სამოქალაქო პასუხისმგებლობა საქართველოში გაჩერების პერიოდში. ცენტრის საქმიანობის ადგილია საქართველო და მისი მიზანია ამ სავალდებულო დაზღვევასთან დაკავშირებით გაყიდვების და ზარალის რეგულირების პროცესების ადმინისტრირება. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აქვს 5.26%-იანი (2023 წლის 31 დეკემბერი: 0%) წილი ცენტრში, რომლის მეშვეობითაც იგი მონაწილეობს უცხოურ ქვეყნებში დარეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მძღოლების სამოქალაქო პასუხისმგებლობის ერთობლივ დაზღვევაში და შესაბამის აქტივებს, ვალდებულებებს, შემოსავალს და ხარჯებს აღიარებს ცენტრში თავისი წილის საფუძველზე.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების – ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრისთვის. კომპანიას არ მოუმზადებია საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება წინა პერიოდებში. ეს კომპანიის მიერ მომზადებული ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგებაა. ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიას არ გამოუყენებია ფასს 1-ით „ფასს-ის პირველად გამოყენება“ დაშვებული ან მოთხოვნილი გამონაკლისები.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით, თუ სხვა რამე არ არის აღნიშნული ქვემოთ, სააღრიცხვო პოლიტიკაში.

ამ ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში – ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

კომპანია დაფუძნდა 2023 წლის 3 დეკემბერს. 2023 წლის შესადარისი ინფორმაცია ამ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია დაფუძნების თარიღიდან 2023 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის, რომელიც შეიძლება არ იყოს შესადარისი 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული სრული წლის ინფორმაციასთან.

(ათას ლარში)

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებები

კომპანია აფორმებს სადაზღვევო ხელშეკრულებებს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, რითაც იღებს მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს თავისი დამზღვევებისგან. იმისათვის, რომ განსაზღვროს აქვს თუ არა მნიშვნელოვანი სადაზღვევო რისკი, კომპანია, გავრცელებული წესის თანახმად, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას გადასახდელ სადაზღვევო ანაზღაურებას ადარებს გადასახდელ ანაზღაურებას, სადაზღვევო შემთხვევა რომ არ დამდგარიყო. სადაზღვევო ხელშეკრულებებით ფინანსური რისკის გადაცემაც შეიძლება კომპანია ასევე აფორმებს გადაზღვევის ხელშეკრულებებს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, რათა აუნაზღაუროს სხვა საწარმოებს მათ მიერ გაფორმებული ერთი ან მეტი გამოშვებული სადაზღვევო ხელშეკრულებიდან წარმოშობილი მოთხოვნები.

კომპანია არ აფორმებს ისეთ ხელშეკრულებებს, რომლებიც შეიცავს პირდაპირ მონაწილეობის პირობებს.

აგრეგირების დონე

ფასს 17-ის მიხედვით, კომპანია ვალდებულია განსაზღვროს აგრეგირების დონე სტანდარტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

კომპანიისთვის აგრეგირების დონე განისაზღვრება, უპირველეს ყოვლისა, ბიზნესის პორტფელზე დაყოფით. პორტფელები მოიცავს მსგავსი რისკების მქონე ხელშეკრულებების ჯგუფებს, რომლებიც ერთად იმართება. პორტფელები, თავის მხრივ, იყოფა სამ კატეგორიად მათი გაფორმების დროს მოსალოდნელი მომგებიანობის მიხედვით: წაგებიანი ხელშეკრულებები, წაგებიანად ქცევის მნიშვნელოვანი რისკის არმქონე ხელშეკრულებები და დანარჩენები. ეს იმას ნიშნავს, რომ აგრეგირების დონის დასადგენად კომპანია ხელშეკრულებს განსაზღვრავს უმცირეს „ერთეულად“, ანუ უმცირეს საერთო მნიშვნელად. თუმცა, კომპანია აფასებს, ხელშეკრულებების გარკვეული რაოდენობა უნდა აღირიცხოს თუ არა ერთად, როგორც ერთი ერთეული, გონივრულ და დასაბუთებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, თუ ერთი ხელშეკრულება შეიცავს ისეთ კომპონენტებს, რომლებიც უნდა გაიმიჯნოს და აღირიცხოს, როგორც ინდივიდუალური ხელშეკრულებები. ის, თუ რა აღირიცხება, როგორც ხელშეკრულება ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისთვის, შეიძლება განსხვავდებოდეს იმისგან, თუ რა მიიჩნევა ხელშეკრულებად სხვა მიზნებისთვის (მაგ. იურიდიული ან მართვის).

ფასს 17 ასევე მოითხოვს, რომ აგრეგირების მიზნით ერთ დონეზე მოქცეული ჯგუფი არ უნდა შეიცავდეს ისეთ ხელშეკრულებებს, რომელთა გაფორმების თარიღსაც ერთმანეთისგან ერთ წელზე მეტი აშორებს. კომპანიამ არჩია ერთად დაეჯგუფებინა ხელშეკრულებები, რომლებიც სხვა ჯგუფებში აღმოჩნდებოდა მხოლოდ იმიტომ, რომ კანონი ან რეგულაცია ზღუდავს მის პრაქტიკულ შესაძლებლობას, რომ სხვა ფასი ან სარგებლის დონე განუსაზღვროს სხვადასხვა მახასიათებლის მქონე დამზღვევებს.

კომპანიამ ფასს 17-ზე გადასვლისთვის გამოიყენა სრულად რეტროსპექტიული მიდგომა. პორტფელები შემდეგ კიდევ იყოფა გაფორმების წლის და მომგებიანობის მიხედვით, აღიარებისა და შეფასების მიზნებისთვის. აქედან გამომდინარე, ყოველ წელს გაფორმებული ხელშეკრულებების პორტფელები სამ ჯგუფად იყოფა:

- ▶ ხელშეკრულებების ჯგუფი, რომლებიც წაგებიანია საწყისი აღიარებისას (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ▶ ხელშეკრულებების ჯგუფი, რომლებსაც საწყისი აღიარებისას არ აქვს შემდგომში წაგებიანად ქცევის მნიშვნელოვანი ნიშნები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ▶ დანარჩენი ხელშეკრულებების ჯგუფი პორტფელში (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ხელშეკრულებების ჯგუფების მომგებიანობა ფასდება აქტუარული შეფასების მოდელებით, რომლებიც მხედველობაში იღებს არსებულ და ახალ ბიზნესს. კომპანია უშვებს, რომ პორტფელში საწყისი აღიარებისას არ არსებობს წაგებიანი ხელშეკრულებები, თუ ფაქტები და გარემოებები საპირისპიროზე არ მიუთითებენ. იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც არ არის წაგებიანი, კომპანია აფასებს საწყისი აღიარებისას, რომ არ არსებობს შემდგომში წაგებიანად გადაქცევის მნიშვნელოვანი ნიშნები, რისთვისაც აფასებს არსებულ ფაქტებსა და გარემოებებში ცვლილებების ალბათობას.

(ათას ლარში)

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებები (გაგრძელება)

კომპანია შემდეგ ფაქტებსა და გარემოებებზე დაყრდნობით განსაზღვრავს, ხელშეკრულებების ჯგუფი წაგებიანია თუ არა:

- ▶ ინფორმაცია ფასწარმოქმნის შესახებ;
- ▶ მის მიერ აღიარებული მსგავსი ხელშეკრულებებიდან მიღებული გამოცდილება;
- ▶ გარემოს ფაქტორები, მაგ. ცვლილება ბაზარზე ან რეგულაციებში.

კომპანია ფლობს გადაზღვევის ხელშეკრულებების პორტფელსაც ზემოაღნიშნული პრინციპების მიხედვით ყოფს, იმ განსხვავებით, რომ წაგებიან ხელშეკრულებებზე მითითება ეხება იმ ხელშეკრულებებს, რომლებზეც მიიღება წმინდა შემოსულობა საწყისი აღიარებისას. ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ზოგიერთი ჯგუფის შემთხვევაში, ჯგუფს შეუძლია შეადგინოს ერთიანი ხელშეკრულება.

აღიარება

კომპანია აღიარებს თავის მიერ გაფორმებული სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფს, ჩამოთვლილთაგან უადრესი თარიღით:

- ▶ ხელშეკრულებების ჯგუფის სადაზღვევო პერიოდის ათვლის დასაწყისი;
- ▶ თარიღი, როდესაც ჯგუფში შემავალ დამზღვევს უწევს პირველი გადახდა ან როდესაც მიიღება პირველი გადახდა, თუ პირველი გადახდის თარიღი არ არის დადგენილი;
- ▶ წაგებიანი ხელშეკრულებების ჯგუფის შემთხვევაში, თუ ფაქტები და გარემოებები მიანიშნებენ იმაზე, რომ ჯგუფი წაგებიანია.

კომპანია აღიარებს თავის მიერ გაფორმებული ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფს, ჩამოთვლილთაგან უადრესი თარიღით:

- ▶ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფის სადაზღვევო პერიოდის დასაწყისი; თუმცა კომპანია გადაავადებს ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფის აღიარებას, რომელიც უზრუნველყოფს პროპორციულ დაფარვას რომელიმე საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულების საწყისი აღიარების თარიღამდე, თუ ეს თარიღი უფრო გვიან დგება, ვიდრე ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფის სადაზღვევო პერიოდის ათვლის დაწყების თარიღი.
- ▶ თარიღი, როდესაც კომპანია აღიარებს საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებების წაგებიან ჯგუფს, თუ კომპანიამ გააფორმა შესაბამისი ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულება, რომელიც შედის ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფში, ამ თარიღით ან ამ თარიღამდე.

კომპანია ახალ ხელშეკრულებებს უმატებს ჯგუფს იმ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, რომელშიც ეს ხელშეკრულება აკმაყოფილებს ზემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ კრიტერიუმს.

ხელშეკრულების ფარგლები

კომპანია სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფის შეფასებაში ითვალისწინებს ყველა სამომავლო ფულად ნაკადს, ჯგუფში არსებული თითოეული ხელშეკრულების ფარგლებში. ფულადი ნაკადები არის სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებში, თუ ისინი წარმოიშობა არსებითი უფლებებიდან და ვალდებულებებიდან, რომლებიც არსებობს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, რომელშიც კომპანიას შეუძლია აიძულოს დამზღვევს პრემიების გადახდა ან რომელშიც კომპანიას აქვს არსებითი ვალდებულება, დამზღვევს გაუწიოს სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.

(ათას ლარში)

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებები (გაგრძელება)

სადაზღვევო ხელშეკრულებები – თავდაპირველი შეფასება

კომპანიამ პრემიების განაწილებაზე დაფუძნებული მიდგომა (PAA) მიიღო, როგორც ფასს 17-ის ზოგადი მოდელის გამარტივებული მიდგომა და პრემიების განაწილებაზე დაფუძნებულ მიდგომას მიმართავს ყველა სადაზღვევო ხელშეკრულებისთვის, რომელსაც უშვებს და გადაზღვევის ხელშეკრულებებისთვის, რომლებსაც ის ფლობს.

ბიზნესის ყველა მიმართულების დაზღვევის და გადაზღვევის პერიოდი მიჩნეულია, რომ არის ერთი წელი ან ნაკლები და ამრიგად იგი ავტომატურად აკმაყოფილებს PAA-ის კრიტერიუმს. ერთ წელზე მეტი სადაზღვევო დაფარვის ვადის მქონე ხელშეკრულებები პორტფელის მცირე ნაწილია და არ არსებობს არსებითი განსხვავება დარჩენილი დაფარვის ვადის ვალდებულების შეფასების მხრივ PAA-სა და ზოგად მოდელს შორის, შესაბამისად, ისინი აკმაყოფილებს PAA-ის კრიტერიუმს.

ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებები – თავდაპირველი შეფასება

კომპანია აფასებს თავის გადაზღვევის აქტივებს გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფისთვის, რომელსაც ფლობს იმავე საფუძველზე, როგორც მის მიერ გაფორმებულ სადაზღვევო ხელშეკრულებებს.

სადაზღვევო ხელშეკრულებები – შემდგომი შეფასება

კომპანია აფასებს დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულების საბალანსო ღირებულებას ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, როგორც დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებას პერიოდის დასაწყისში:

- ▶ დამატებული პერიოდის განმავლობაში მიღებული პრემიები;
- ▶ გამოკლებული დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები;
- ▶ დამატებული ყოველგვარი თანხა, რომელიც უკავშირდება დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადების ამორტიზაციას, რომელიც აღიარებულია ხარჯად კომპანიის საანგარიშგებო პერიოდში;
- ▶ გამოკლებული პერიოდის განმავლობაში გაწეული მომსახურებისთვის მიღებული სადაზღვევო ამონაგების თანხა.

კომპანია დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილ ვალდებულებებს აფასებს, როგორც გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელი ფულად ნაკადებს, რომლებიც უკავშირდება დამდგარ სადაზღვევო შემთხვევებს. გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადები მიუკერძოებლად ითვალისწინებს მიზანშეუწონელი დანახარჯების თუ ძალისხმევის გარეშე ხელმისაწვდომ ყველანაირ დასაბუთებულ და დადასტურებულ ინფორმაციას, რომელიც ეხება ამ მომავალი ფულადი ნაკადების ოდენობას, მათი წარმოშობის დროსა და დაკავშირებულ განუსაზღვრელობას; ისინი ასახავენ კომპანიის ხედვით ამჟამინდელ შეფასებებს და მოიცავს არაფინანსური რისკის აშკარა კორექტირებებს (რისკის კორექტირება). კომპანია არ აკორექტირებს სამომავლო ფულად ნაკადებს ფულის დროითი ღირებულების და ფინანსურ რისკის ეფექტის მიხედვით, დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულების შესაფასებლად, რომელთა გადახდა მოსალოდნელია მათი გაწევიდან ერთი წლის ვადაში.

ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებები – შემდგომი შეფასება

ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების შემდგომი შეფასება იმავე პრინციპით ხდება, როგორც გამოშვებული სადაზღვევო ხელშეკრულებებისა და ადაპტირებულია ისე, რომ ასახოს ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების სპეციფიკური თვისებები.

დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები

დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები წარმოიშობა გაყიდვების დანახარჯებიდან, ანდერატიონიდან და სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფის გაფორმებიდან (რომლებიც უკვე გაფორმებულია ან რომელთა გაფორმება მოსალოდნელია), რომლებიც პირდაპირ არის მიკუთვნებადი იმ სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელისთვის, რომელსაც ჯგუფი მიეკუთვნება.

(ათას ლარში)

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებები (გაგრძელება)

სადაზღვევო ხელშეკრულებები – მოდიფიკაცია და აღიარების შეწყვეტა

კომპანია სადაზღვევო ხელშეკრულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც:

- ▶ როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებები და ვალდებულებები შეწყდება (ვადა გაუვა, დაიფარება ან გაუქმდება); ან
- ▶ ხელშეკრულების მოდიფიკაცია ხდება ისე, რომ მოდიფიკაცია განაპირობებს ცვლილებას შეფასების მოდელში ან ხელშეკრულების კომპონენტის შესაფასებლად გამოყენებულ სტანდარტში, არსებითად ცვლის ხელშეკრულების ფარგლებს ან მოითხოვს, რომ მოდიფიცირებული ხელშეკრულება შევიდეს სხვა ჯგუფში. ასეთ შემთხვევებში კომპანია ახდენს თავდაპირველი ხელშეკრულების აღიარების შეწყვეტას და მოდიფიცირებულ ხელშეკრულებას აღიარებს ახალი ხელშეკრულების სახით.

როდესაც მოდიფიკაცია არ აღირიცხება, როგორც აღიარების შეწყვეტა, კომპანია აღიარებს ხელშეკრულების მოდიფიკაციისთვის გადახდილ ან მიღებულ თანხებს, როგორც შესაბამისი დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულების კორექტირებას.

წარდგენა

კომპანიას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ცალკე აქვს წარმოდგენილი გამოშვებული სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელის საბალანსო ღირებულებები, რომლებიც არის აქტივები, გამოშვებული სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელები, რომლებიც არის ვალდებულებები, ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების პორტფელები, რომლებიც არის აქტივები და ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების პორტფელები, რომლებიც არის ვალდებულებები.

დაზღვევის აკვიზიციის ფულად ნაკადებთან მიმართებით აღიარებული აქტივები, რომლებიც აღიარებულია შესაბამის სადაზღვევო ხელშეკრულებებამდე, ასახულია სადაზღვევო ხელშეკრულებების შესაბამისი ჯგუფების საბალანსო ღირებულებაში და განაწილებულია იმ სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელის საბალანსო ღირებულებებზე, რომლებსაც ისინი უკავშირდება.

კომპანია ახდენს მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებული მთლიანი თანხის დეზაგრეგირებას გაწეული სადაზღვევო მომსახურების შედეგად, რომელიც მოიცავს სადაზღვევო ამონაგებს და სადაზღვევო მომსახურების ხარჯს.

ურთიერთგადაფარვა

მსხვილ კონტრაქტებთან გაფორმებული დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებების აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლება და ურთიერთგაქვითვის სურვილი.

კომპანია არ ახდენს არაფინანსური რისკის საფუძველზე განხორციელებული კორექტირების თანხის ცვლილების დეზაგრეგირებას ფინანსურ და არაფინანსურ ნაწილს შორის და მთლიანი თანხის ცვლილებას ასახავს, როგორც სადაზღვევო მომსახურების შედეგის ნაწილს.

კომპანია გამოშვებული სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან მიღებული ხარჯებისა და შემოსავლისგან განცალკევებით წარმოადგენს ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან მიღებულ შემოსავალს და ხარჯებს.

სადაზღვევო ამონაგები

კომპანია იყენებს სადაზღვევო ამონაგების აღიარების ორ ცალკე მეთოდს. ჯანმრთელობის დაზღვევის გარდა, ყველა თავისი პროდუქტისთვის ამონაგების აღიარება ხდება დროთა განმავლობაში. ჯანმრთელობის დაზღვევის შემთხვევაში, ამონაგების აღიარება დამდგარი სადაზღვევო შემთხვევების პროპორციულია. ამას განაპირობებს ჯანმრთელობის დაზღვევის პროდუქტების რისკისგან არათანაბარი გათავისუფლება.

(ათას ლარში)

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებები (გაგრძელება)

წმინდა შემოსავალი ან ხარჯი ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან

კომპანია მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ცალ-ცალკე წარადგენს მზღვევლის მიერ ანაზღაურებულ თანხებს და გადაზღვევისთვის გადახდილი პრემიების განაწილების თანხებს. კომპანია გადაზღვევასთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებს, რომლებიც პირობითია და დამოკიდებულია საბაზისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ სადაზღვევო შემთხვევებზე, ასახავს იმ სადაზღვევო შემთხვევების შემადგენლობაში, რომელთა ანაზღაურება მოსალოდნელია ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულების მეშვეობით; და გამორიცხავს საინვესტიციო კომპონენტებს და საკომისიოებს გადაზღვევის პრემიების განაწილებას, რომლებიც წარმოდგენილია მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

საწყისი აღიარება

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია საწყისი აღიარებისას დამოკიდებულია მათ სახელშეკრულებო პირობებზე და ინსტრუმენტების მართვის ბიზნესმოდელებზე.

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება თავდაპირველად ხდება გარიგების თარიღით და ფასდება მათი სამართლიანი ღირებულებით. გარდა სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისა, ამ თანხას ემატება გარიგების დანახარჯები.

შეფასების კატეგორიები

კომპანიის მიერ ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია, როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ან სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, მოგებაში ან ზარალში ასახვით

ამ კატეგორიაში შედის ისეთი ფინანსური აქტივები, რომლებიც იმართება სამართლიანი ღირებულების ბიზნეს მოდელით ან რომლებიც ხელმძღვანელობამ საწყისი აღიარებისას მიაკუთვნა მას, ან, ფასს 9-ის მიხედვით, სავალდებულოა მათი სამართლიანი ღირებულებით შეფასება. ამ კატეგორიაში შედის სავალდებულო ინსტრუმენტები, რომელთა ფულადი ნაკადები ვერ აკმაყოფილებს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდის (SPPI) ტესტის კრიტერიუმს და მათი ფლობის ბიზნესმოდელის მიზანი არ არის ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ან როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება მათგან, ისე მათი გაყიდვა.

შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით, სამართლიანი ღირებულებით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. სამართლიანი ღირებულების ცვლილებები აღირიცხება მოგებაში ან ზარალში. იმ აქტივებზე გამოქვეყნებული პროცენტი, რომელთა სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, შეფასება სავალდებულოა, აღირიცხება სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

(ათას ლარში)

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეყრდნობა სხვაობას სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა იმ ფულად ნაკადს შორის, რომელთა მიღებასაც კომპანია მოელის, რომელიც დისკონტირებულია სათანადო ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება ორ ეტაპად ხდება. იმ კრედიტების შემთხვევაში, რომელთა საკრედიტო რისკი საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზარდილა, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის რეზერვები იქმნება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევით განპირობებული საკრედიტო ზარალისთვის (12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). ისეთი კრედიტების შემთხვევაში, რომელთა საკრედიტო რისკი საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არის გაზარდილი, რეზერვის შექმნა სავალდებულოა კრედიტის დარჩენილი ვადის განმავლობაში მოსალოდნელი ზარალისთვის, იმისდა მიუხედავად, თუ როდის წარმოიშობა დეფოლტი (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი).

კომპანია ფინანსურ აქტივს დეფოლტის სიტუაციაში (საკრედიტო რისკით გაუფასურებულად) მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები 90 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანია სავარაუდოდ ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლა

კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს გამოითვლის სცენარებზე დაყრდნობით იმისათვის, რომ შეაფასოს ფულადი სახსრების მოსალოდნელი დეფიციტი, რომელიც დისკონტირებულია სათანადო ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ფულადი სახსრების დეფიციტი არის სხვაობა ხელშეკრულების შესაბამისად კომპანიისთვის გადასახდელ ფულად ნაკადებს და იმ ფულად ნაკადებს, რომელთა მიღებასაც საწარმო მოელის.

ვინაიდან კომპანიას არ აქვს საკუთარი დეფოლტისა და საკრედიტო ზარალის სტატისტიკა, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად იგი იყენებს ანალოგიური კომპანიების საბაზრო მონაცემებს დეფოლტის ალბათობისა და დეფოლტის შემთხვევაში ზარალის შესახებ, რომლებსაც იღებს აღიარებული საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ გამოქვეყნებული ანგარიშებიდან. მიღებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ჩვეულებრივ არაარსებითია საკრედიტო ზარალისა და კომპანიის იმ სავალო ინსტრუმენტების ვადების გათვალისწინებით, რომლებიც ექვემდებარება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოთხოვნებს.

კომპანია თავის აქტივებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის მიხედვით ანაწილებს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელიმე კატეგორიაზე:

- ▶ 12-თვიანი საკრედიტო ზარალი – გამოითვლება, როგორც აქტივის გრძელვადიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) ნაწილი, კერძოდ ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის შემთხვევების შედეგად მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. კომპანია 12-თვიანი საკრედიტო ზარალის რეზერვს გამოითვლის საანგარიშგებო თარიღის შემდგომი 12 თვის განმავლობაში დეფოლტის დადგომის მოლოდინის საფუძველზე. ეს მოსალოდნელი 12-თვიანი დეფოლტის ალბათობები გამოიყენება დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების პროგნოზზე, მრავლდება დეფოლტის მომენტისთვის მოსალოდნელ დაუფარავ დავალიანებაზე და დისკონტირდება სათანადო ეფექტურ საპროცენტო განაკვეთით. ეს გამოთვლა ხორციელდება თითოეული სცენარისთვის, როგორც ზემოთ არის აღწერილი.
- ▶ აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი – როდესაც ინსტრუმენტის გაცემის შემდეგ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზარდილი, კომპანია ქმნის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს. სპეციფიკა ზემოთ განმარტებულის მსგავსია, სხვადასხვა სცენარის გამოყენების ჩათვლით, მაგრამ დეფოლტის ალბათობები და დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში გამოითვლება ინსტრუმენტის მთელ ვადაზე. მოსალოდნელი ზარალის დისკონტირება ხდება სათანადო ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.
- ▶ გაუფასურება – იმ სავალო ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომლებიც მიიჩნევა საკრედიტო რისკით გაუფასურებულად, კომპანია აღიარებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. ეს მეთოდი აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის გამოყენებული მეთოდის მსგავსია, მაგრამ დეფოლტის ალბათობა, ამ შემთხვევაში, 100%-ით არის განსაზღვრული.

(ათას ლარში)

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების შეფასება

კომპანია გარკვეულ ფინანსურ ინსტრუმენტებს, მაგალითად, წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს აფასებს სამართლიანი ღირებულებით ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ამორტიზებადი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება წარმოდგენილია 24-ე შენიშვნაში.

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომლებისთვისაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება ისე, რომ მაქსიმალურად იყენებდეს ემპირიულ ამოსავალ მონაცემებს და მინიმალურად – არაემპირიულ ამოსავალ მონაცემებს, რომლებიც, საერთო ჯამში, მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

საპროცენტო შემოსავლის აღიარება

ფასს 9-ის მიხედვით, საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთს მეთოდით ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ყველა სავალ ფინანსური აქტივისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით და სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ახდენს მომავალში სავარაუდოდ მიღებული ფულადი სახსრების ზუსტ დისკონტირებას ფინანსური აქტივის მოსალოდნელ ვადაზე, ან, როცა ეს მიზანშეწონილია, უფრო მოკლე პერიოდზე, ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებამდე (გარდა საკრედიტო რისკით გაუფასურებული აქტივებისა, რა შემთხვევაშიც საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება მათ წმინდა საბალანსო ღირებულებაზე, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოქვითვის შემდეგ).

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (და, შესაბამისად, ფინანსური აქტივის ამორტიზებული ღირებულება) გამოითვლება გარიგების დანახარჯებისა და ფინანსური აქტივის შეძენისას ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის გათვალისწინებით, ასევე იმ საკომისიოებისა და დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია.

კომპანია გამოითვლის საპროცენტო შემოსავალს ფინანსურ აქტივებზე, საკრედიტო რისკით გაუფასურებულად მიჩნეული აქტივების გარდა, ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი. შემოსავალი და ხარჯი მოგებაში ან ზარალში არ გაიქვითება, თუ ეს არ მოითხოვება ან დაიშვება ბუღალტრული აღრიცხვის რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით, რომლის შესახებაც საგანგებოდ მიეთითება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარებულია მიღებული საზღაურის სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯები. საწყისი აღიარების შემდეგ ნასესხები სახსრების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

(ათას ლარში)

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან, მიმდინარე ანგარიშებისა და საკრედიტო დაწესებულებებისადმი მოთხოვნებისაგან, რომელთაც აქვთ განთავსებიდან სამი თვის ვადა და თავისუფალნი არიან სახელშეკრულებო ვალდებულებებისაგან.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, ლიცენზიები და მომხმარებელთან დაკავშირებულ არამატერიალურ აქტივებს, რომლებიც საწარმოთა გაერთიანების შედეგად არის შეძენილი.

ცალკეული არამატერიალური აქტივი საწყისი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი არამატერიალური აქტივის ღირებულება წარმოადგენს მის სამართლიან ღირებულებას შესყიდვის თარიღისათვის. საწყისი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობა შეფასებულია განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით. ვადიანი არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია სასარგებლო ეკონომიკური მომსახურების ვადის – 1–5 წლის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ნიშნების არსებობისას. ვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება სულ მცირე ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

კომპიუტერული პროგრამების მართვასთან დაკავშირებული დანახარჯები მათი გაწვევითანავე აღირიცხება ხარჯების ნაწილში. პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის ხარჯები (დაკავშირებული ახალი, მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირებასა და დიზაინთან) აღიარებულია, როგორც არამატერიალური აქტივი მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს ამ პროცესის ბოლომდე მიყვანის სურვილი და ტექნიკური უნარი იმ მოცულობით, რომ შესაძლებელი იყოს პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება თუ გაყიდვა, აგრეთვე აქტივის შეეძლოს სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოტანა განვითარების ხარჯების გათვალისწინებით. უნდა არსებობდეს რესურსები პროცესის ბოლომდე მიყვანისთვის და შესაძლებელი იყოს განვითარების ხარჯების სანდოდ შეფასება. პროგრამული უზრუნველყოფის შექმნაზე გაწეული სხვა დანახარჯების აღრიცხვა მათი გაწვევითანავე ხდება სხვა ხარჯების ნაწილში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება. ამ თანხაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. თვითღირებულებით აღრიცხული ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება გადაფასებასთან მიმართებით, როდესაც გარკვეული მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები იმაზე მიანიშნებს, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში სხვა საოპერაციო ხარჯის სახით.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	წელი
კომპიუტერული ტექნიკა	5
ავეჯი და საოფისე აღჭურვილობა	5–10
სატრანსპორტო საშუალებები	10–15
საიჯარო ქონების გაუმჯობესება	იჯარის ვადა
სხვა ძირითადი საშუალებები	5–6

აქტივების ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და მეთოდების გადახედვა და შესაბამისად კორექტირება საჭიროებისამებრ ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

(ათას ლარში)

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

შეკეთება–განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები დაირიცხება მათი გაწევისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც წმინდა გასვლის ამონაგებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის იმ წლის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

საწარმოთა გაერთიანება

საწარმოთა გაერთიანება აღირიცხება შეძენის მეთოდით. შეძენის ღირებულება გამოითვლება გადაცემული საზღაურის (სამართლიანი ღირებულება შეძენის თარიღისთვის) და შეძენილი საწარმოს ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილის მოცულობის დაჯამებით. კომპანია მიღებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაციასა და კატეგორიზაციას ახდენს შეძენის თარიღისათვის არსებული სახელშეკრულებო პირობების, ეკონომიკური გარემოებებისა და მშობელი რელევანტური პირობების შესაბამისად. შესყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების აღიარება ხდება მათი გაწევისთანავე და შედის ადმინისტრაციულ ხარჯებში.

როდესაც ხდება სადაზღვევო ხელშეკრულებების შეძენა საწარმოთა გაერთიანების ან პორტფელის გადაცემის ფარგლებში, რომელიც აკმაყოფილებს ფასს 3–ის მიხედვით საწარმოს განმარტებას, სადაზღვევო ვალდებულებების (და დაკავშირებული აქტივების) სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება ფასს 17–ისა და ფასს 13–ის მიხედვით. ნებისმიერი სხვაობა გადაცემულ საზღაურსა და ინდენტიფიცირებადი აქტივებისა და ვალდებულებების, მათ შორის ფასს 17–ით შეფასებული სადაზღვევო ვალდებულებების, წმინდა სამართლიან ღირებულებას შორის წარმოშობს გუდვილს. თუ სადაზღვევო ხელშეკრულებებს აქვს ხანმოკლე დაფარვა, ამ ვალდებულებების შესაფასებლად შეიძლება გამოყენებული იქნეს პრემიების განაწილებაზე დაფუძნებული მიდგომა.

ერთობლივი ოპერაციის შეძენა, რომელიც ბიზნესს წარმოადგენს

როდესაც წილის შეძენა ერთობლივ საქმიანობაში წარმოადგენს ბიზნესს ფასს 3–ის განმარტების შესაბამისად, და საქმიანობა კლასიფიცირებულია, როგორც ერთობლივი ოპერაცია ფასს 11–ის შესაბამისად, ეს გარიგება აღირიცხება საწარმოთა გაერთიანების აღრიცხვის პრინციპების გამოყენებით. კომპანია ერთობლივი ოპერაციის იდენტიფიცირებად აქტივებსა და ვალდებულებებში თავის წილს აღიარებს მათ სამართლიანი ღირებულებებით შეძენის თარიღისთვის. ის თანხა, რომლითაც გადაცემული საზღაური აღემატება წმინდა იდენტიფიცირებადი აქტივების სამართლიან ღირებულებას, აღიარდება, როგორც გუდვილი.

გუდვილი

გუდვილის აღიარება თავდაპირველად ხდება თვითღირებულებით (რაც არის გადაცემული საზღაურის, არამაკონტროლებელი წილების აღიარებული ოდენობის, ასევე მანამდე ფლობილი წილების ჯამურ თანხას გამოკლებული წმინდა იდენტიფიცირებადი შეძენილი აქტივები და ნაკისრი ვალდებულებები).

საწყისი აღიარების შემდეგ გუდვილის შეფასება ხდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება ნებისმიერი დარიცხული გაუფასურების ზარალი.

გაუფასურების ტესტის მიზნებისთვის, გუდვილი შეძენის თარიღიდან ნაწილდება კომპანიის ფულადი სახსრების წარმომქმნელ თითოეულ ერთეულზე ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფებზე, რომლებიც, სავარაუდოდ, საწარმოთა გაერთიანების შემდეგ სარგებელს მიიღებს. გუდვილის გაუფასურების ტესტირება ხდება მინიმუმ ყოველწლიურად ან უფრო ხშირად თუ მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებს პოტენციურ გაუფასურებაზე. გუდვილის გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში და მისი შემდგომში გაუქმება არ ხდება. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლის დროს, მისთვის მიკუთვნებადი გუდვილი შედის გასვლით განპირობებული შემოსულობის ან ზარალის გაანგარიშებაში.

(ათას ლარში)

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარა

იჯარის დაწყების დღეს კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას ბალანსზე. აქტივის გამოყენების უფლება ფასდება თვითღირებულებით, რომელიც შედგება საიჯარო ვალდებულების თავდაპირველი შეფასებისგან, კომპანიის მიერ ნაკისრი ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯებისგან, იჯარის ბოლოს აქტივის დემონტაჟის და მოხსნის სავარაუდო დანახარჯებისგან და ყოველგვარი საიჯარო გადახდებისგან, რომლებიც ხორციელდება იჯარის ვადის დაწყების თარიღამდე (მიღებული შეღავათების გამოკლებით).

კომპანია აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს წრფივი მეთოდით, იჯარის დაწყების თარიღიდან აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლო თარიღსა და იჯარის ვადის ბოლო თარიღს შორის უადრესამდე. კომპანია ასევე აფასებს აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურება, როდესაც არსებობს გაუფასურების ნიშნები.

იჯარის დაწყების თარიღისთვის კომპანია აფასებს საიჯარო ვალდებულებას ამ თარიღისთვის გადაუხდელი საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირდება საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ ეს განაკვეთი არის ხელმისაწვდომი, ან კომპანიის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთით. კომპანიამ არჩია მოკლევადიანი იჯარების და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარების აღრიცხვა პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომით. აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების აღიარების ნაცვლად, მათთან დაკავშირებული გადახდების აღიარება ხდება ხარჯის სახით მოგებაში ან ზარალში, იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივის გამოყენების უფლებები მოცემულია მე-10 შენიშვნაში.

გადასახადები

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2023 წლის 1 იანვარს საქართველოში ამოქმედდა ახალი საგადასახადო რეჟიმი სადაზღვევო კომპანიებისთვის. 2023 წლიდან კომპანია დაექვემდებარა 0%-იან საგადასახადო განაკვეთს გაუნაწილებელ მოგებაზე, ხოლო მოგების გადასახადი ერიცხება მხოლოდ ფიზიკურ პირებზე დივიდენდების სახით განაწილებულ მოგებაზე. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. მოგების გადასახადის ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდების გამოცხადების დროს. შესაბამისად, კომპანიას არ უღიარებია გადავადებული გადასახადები, ვინაიდან გაუნაწილებელ მოგებაზე მოქმედი 0%-იანი განაკვეთი გამოიყენება გადავადებული გადასახადის შეფასების მიზნებისთვის.

დივიდენდების განაწილებაზე საგადასახადო ვალდებულებების ოდენობა გამოითვლება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებები ასევე ასახელებს ოპერაციებს, რომლებიც საგადასახადო მიზნებისთვის ითვლება დივიდენდის განაწილებად. ასეთი ოპერაციებია:

- ▶ არასაბაზრო ფასებით შესრულებული ოპერაცია;
- ▶ ხარჯები, რომლებიც არ უკავშირდება ბიზნესოპერაციებს;
- ▶ საქონლისა და მომსახურების უსასყიდლოდ გადაცემა.

ასეთ ოპერაციაზე საგადასახადო ვალდებულებები აისახება, როგორც სხვა საოპერაციო გადასახადები.

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციები საკუთარ კაპიტალად არის კლასიფიცირებული. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

(ათას ლარში)

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

საკუთარი კაპიტალი (გაგრძელება)

დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია ვალდებულებად და კაპიტალიდან გამოიქვითება საანგარიშგებო თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია საანგარიშგებო თარიღამდე ან საანგარიშგებო თარიღით. დივიდენდებზე ინფორმაციის წარმოდგენა ხდება მაშინ, როდესაც მათი შეთავაზება საანგარიშგებო თარიღამდე ხდება ან თუ ისინი შეთავაზებული ან გამოცხადებულია საანგარიშგებო თარიღის შემდეგ, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე.

აქციებზე დაფუძნებული გადახდები

კომპანიის წამყვანი ხელმძღვანელობა იღებს აქციებზე დაფუძნებულ ანაზღაურებას, რა შემთხვევაშიც ისინი მომსახურებას სწევენ კომპანიის წილობრივი ინსტრუმენტების სანაცვლოდ. ყველა გამოცხადებული აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურების სქემა წარმოადგენს აქციებზე დაფუძნებულ ანაზღაურებას წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით. გაცემული ჯილდოების სამართლიანი ღირებულება ფასდება უფლების მინიჭების თარიღისათვის და აღიარდება ხარჯად უფლების გადაცემის პერიოდზე წრფივი დარიცხვით, და კორექტირდება უფლების მოსალოდნელი ჩამორთმევის მიხედვით. აქციებზე დაფუძნებული ყველა გადახდის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, ხოლო შესაბამისი ზრდა აისახება საკუთარ კაპიტალში.

უცხოური ვალუტის გადაყვანა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები თავდაპირველად აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის გადაყვანა ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გამოცხადებული და საანგარიშგებო თარიღისათვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული შემოსულობა და ზარალი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, როგორც (ზარალი)/შემოსულობა საკურსო სხვაობებიდან.

სხვაობები უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის სახელშეკრულებო გაცვლით კურსსა და სებ-ის გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს შესულია საკურსო სხვაობებიდან (ზარალის)/შემოსულობის მუხლში. სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი ასეთია:

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
1 აშშ დოლარი/ლარი	2.8068	2.6894
1 ევრო/ლარი	2.9306	2.9753
წლის საშუალო კურსი	2024	2023
1 აშშ დოლარი/ლარი	2.7206	2.6279
1 ევრო/ლარი	2.9437	2.8416

(ათას ლარში)

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ ძალაში არ შესულა

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ ახალი და შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე და აგრძელებს მათი გავლენის შეფასებას თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

ურთიერთგაცვლის შესაძლებლობის არარსებობა – ცვლილებები ბასს (IAS) 21-ში

2023 წლის აგვისტოში ბასსს–მა გამოუშვა ცვლილებები ბასს 21-ში „უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები“, რითაც დააკონკრეტა, როგორ უნდა შეაფასოს საწარმომ, არის თუ არა ვალუტა ურთიერთგაცვლადი და როგორ უნდა განსაზღვროს სპოტ სავალუტო კურსი, როდესაც ურთიერთგაცვლა შეუძლებელია. ცვლილებები ასევე მოითხოვს იმ ინფორმაციის გამჟღავნებას, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს, გაერკვნენ იმაში, თუ როგორ მოქმედებს ან სავარაუდოდ როგორ იმოქმედებს ვალუტა, რომელიც არ არის ურთიერთგაცვლადი სხვა ვალუტაში, საწარმოს ფინანსურ შედეგებზე, ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულად ნაკადებზე.

ცვლილებები ძალაში შევა 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება, მაგრამ სავალდებულოა ინფორმაციის გამჟღავნება. ცვლილებების გამოყენებისას საწარმოს არ შეუძლია შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშება.

არ არის მოსალოდნელი, რომ ცვლილებებს არსებითი გავლენა ექნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს (IFRS) 18 – ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის აპრილში ბასსს–მა გამოუშვა ფასს 18, რომელიც ჩაანაცვლებს ბასს 1-ს „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“. ფასს 18-ს შემოაქვს ახალი მოთხოვნები მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ინფორმაციის, მათ შორის კონკრეტული ჯამებისა და ქვეჯამების წარდგენასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, საწარმოებს ევალებათ ყველა შემოსავლისა და ხარჯის კლასიფიცირება მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხუთიდან რომელიმე კატეგორიაში: საოპერაციო, საინვესტიციო, საფინანსო, მოგების გადასახადები და შეწყვეტილი ოპერაციები. აქედან პირველი სამი კატეგორია ახალია.

იგი ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობის მიერ ახლად განსაზღვრულ საკმიანობის შედეგების შეფასების საზომებს, შემოსავლისა და ხარჯების ქვეჯამებს და მოიცავს ფინანსური ინფორმაციის აგრეგირებისა და დეზაგრეგირების ახალ მოთხოვნებს, ფინანსური ანგარიშგებისა და მათზე დართული შენიშვნების კონკრეტული „როლების“ შესაბამისად.

გარდა ამისა, ბასს 7-ში „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ შევიდა ვიწრო მიმართულების ცვლილებები, რომლებიც მოიცავს არაპირდაპირი მეთოდით წარმოებული ოპერაციებიდან მიღებული ფულადი ნაკადების განსაზღვრის საწყისი წერტილის შეცვლას „მოგება–ზარალიდან“ „საოპერაციო მოგება ან ზარალზე“ და დივიდენდებიდან პროცენტში ფულადი ნაკადების გადატანასთან დაკავშირებული არჩევითობის გაუქმებას. ამასთან, რამდენიმე სხვა სტანდარტში შევიდა სხვა ცვლილებებით გამოწვეული ცვლილებები.

ფასს 18 და სხვა სტანდარტებში შესული ცვლილებები ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის, თუმცა ნებადართულია ვადაზე ადრე მიღება და ამის შესახებ ინფორმაცია უნდა გაცხადდეს. ფასს 18 იმოქმედებს რეტროსპექტიულად.

კომპანია ამჟამად ცდილობს განსაზღვროს ყველა გავლენა, რომელიც ამ ცვლილებებს ექნება ფინანსურ ანგარიშგებებზე და ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებზე.

(ათას ლარში)

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

ქვემოთ ჩამოთვლილია სხვა სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა. ეს სტანდარტები, სავარაუდოდ, არ იქონიებს გავლენას კომპანიაზე:

ფასს 19 – „შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებითი შენიშვნები“

2024 წლის მაისში ბასსს–მა გამოუშვა ფასს 19, რომელიც შესაბამის საწარმოებს უფლებას აძლევს აირჩიონ ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებული შეზღუდული მოთხოვნები ფასს–ის სხვა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებში აღიარების, შეფასებისა და წარდგენის მოთხოვნების პარალელურად. უფლების მისაღებად, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის საწარმო უნდა იყოს შვილობილი საწარმო ფასს 10–ის განმარტების შესაბამისად, არ შეიძლება ჰქონდეს საჯარო ანგარიშვალდებულება და უნდა ჰყავდეს მშობელი საწარმო (საბოლოო ან შუალედური), რომელიც ამზადებს საჯარო გამოყენებისთვის ხელმისაწვდომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც აკმაყოფილებს ფასს–ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებს.

ფასს 19 ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის. ამასთან დაშვებულია უფრო ადრე გამოყენებაც.

კომპანია არ მოელის, რომ ფასს 19–ის გამოყენება დაეკისრება, რადგან მას აქვს საჯარო ანგარიშვალდებულება, როგორც სადაზღვევო კომპანია.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ქვემოთ განხილულია საანგარიშგებო თარიღისთვის მომავლის შესახებ გაკეთებული ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შეფასების სხვა მთავარი წყაროები, რომლებმაც შეიძლება მომდევნო ფისკალურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი კორექტირებების შეტანის აუცილებლობა გამოიწვიოს. კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძველად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს.

რისკის კორექტირება არაფინანსური რისკის საფუძველზე

რისკის კორექტირება არაფინანსური რისკის საფუძველზე არის კომპენსაცია, რომელსაც კომპანია მოითხოვს სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფების ფულადი ნაკადების ოდენობასა და წარმოშობის დროსთან დაკავშირებული განუსაზღვრელობის გამო. რისკის კორექტირება ასახავს თანხას, რომელსაც მზღვეველი გონივრულ ფარგლებში გადაიხდიდა იმ განუსაზღვრელობის აღმოსაფხვრელად, რომ მომავალი ფულადი ნაკადები გადააჭარბებს მოსალოდნელი ღირებულების ოდენობას.

კომპანია რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და აქვს ყოველთვიური სავალდებულო საზედამხებელო კაპიტალის მოთხოვნა. ამ რეგულაციის მიხედვით, კომპანია ვალდებულია იქონიოს გარკვეული რეზერვები როგორც ფინანსური, ისე არაფინანსური რისკისთვის. მთლიანი სავალდებულო რეზერვიდან, კომპანიის ხელმძღვანელობა შიდა წესით 10%-ს ანაწილებს არაფინანსურ რისკებზე და იყენებს კაპიტალის ხარჯის მიდგომას არაფინანსური რისკის აღრიცხვისადმი. რისკის მიხედვით დაკორექტირებული ვალდებულების ოდენობა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 240 ლარი იყო, რომელიც შეფასდა 20%-იანი კაპიტალის ხარჯის გამოყენებით.

დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება

წაგებიანი ჯგუფები

ხელშეკრულებების იმ ჯგუფისთვის, რომელიც არის წაგებიანი, დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება განისაზღვრება გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადებით. ნებისმიერი ზარალის კომპენსაციის კომპონენტი განისაზღვრება საბაზისო ხელშეკრულებებზე აღიარებული ზარალის კომპონენტთან და ფლობილი სადაზღვევის ხელშეკრულებების მოთხოვნებზე მოსალოდნელ ანაზღაურებასთან მიმართებით. კომპანიის წაგებიან ხელშეკრულებებს არსებითი წილი არ უკავია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

(ათას ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება

აუნაზღაურებელი მოთხოვნების საერთო ხარჯი გამოითვლება ზარალის პროგნოზირების სტანდარტული აქტუარული მეთოდების გამოყენებით.

ამ მეთოდების ძირითადი დაშვება ისაა, რომ კომპანიის წარსულში დაგროვილი სადაზღვევო შემთხვევების დინამიკის გამოყენება შესაძლებელია სამომავლო სადაზღვევო შემთხვევების დინამიკისა და, შესაბამისად, ზარალის მთლიანი მოცულობის პროგნოზირებისთვის. ეს მეთოდები პროგნოზირების ახდენს გადახდილი და მომხდარი ზარალის, თითოეული მოთხოვნის საშუალო მოცულობისა (მოთხოვნების დარეგულირების ხარჯების ჩათვლით) და მოთხოვნების რაოდენობის ექსტრაპოლაციას წინა წლების ტენდენციებზე და ასევე მოსალოდნელი ზარალიანობის კოეფიციენტებზე დაყრდნობით. ისტორიული სადაზღვევო შემთხვევების დინამიკის გაანალიზება ხდება ზარალის დადგომის წლების მიხედვით, მაგრამ შეიძლება ასევე უფრო საფუძვლიანად გაანალიზდეს ბიზნესის მნიშვნელოვანი მიმართულებების და მოთხოვნების ტიპების მიხედვით. მსხვილი მოთხოვნები, როგორც წესი, ცალკე რეგულირდება ან ზარალის შემფასებლის მიერ დადგენილი თანხების ნომინალური ღირებულების დარეგულირებით, ან ცალკე პროგნოზირებით იმისათვის, რომ ასახოს მათი სამომავლო დინამიკა. უმეტეს შემთხვევაში მკაფიო დაშვებები არ კეთდება მოთხოვნების სამომავლო ინფლაციის განაკვეთების ან ზარალიანობის კოეფიციენტების შესახებ. ამის ნაცვლად გამოიყენება ისტორიული სადაზღვევო შემთხვევების დინამიკის მონაცემებში ნაგულისხმევი დაშვებები, რომლებსაც ეყრდნობა სამომავლო პროგნოზები. დამატებითი ხარისხობრივი განსჯა გამოიყენება იმის შესაფასებლად, თუ რამდენად შეიძლება მომავალში განმეორდეს წარსული ტენდენციები (მაგ. რომ ასახოს ერთჯერადი მოვლენები, ცვლილებები საგარეო ან საბაზრო ფაქტორებში, როგორიცაა საზოგადოების დამოკიდებულება მოთხოვნებისადმი, ეკონომიკური პირობები, მოთხოვნების ინფლაციის დონეები, სასამართლო გადაწყვეტილებები და კანონმდებლობა, ასევე შიდა ფაქტორები, როგორიცაა პორტფელის მიქსი, პოლისის მახასიათებლები და მოთხოვნების დარეგულირების პროცედურები), სავარაუდო საბოლოო მოთხოვნების დანახარჯის მისაღებად, რომელიც წარმოადგენს ალბათობით შეწონილ შესაძლო შედეგების მთელი დიაპაზონის მოსალოდნელ ღირებულებას, მათთან დაკავშირებული განუსაზღვრელობების გათვალისწინებით.

გამომავალი სადაზღვევო ხელშეკრულებების წმინდა აქტივების ან ვალდებულებების ნაშთის მომდევნო პერიოდზე გადატანა, რომელიც ასახავს დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილ ვალდებულებას, წარმოდგენილია მე-8 შენიშვნაში.

გუდვილის გაუფასურების ტესტი

გუდვილი აღიარებული შემდეგიდან:

- (ა) 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 15,870 ლარის ოდენობის პორტფელის შეძენა სს „სადაზღვევო კომპანია ავტოგრაფისგან“ (მე-5, მე-12 შენიშვნები), და
- (ბ) 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 654 ლარის ოდენობის წილი სავალდებულო დაზღვევის ცენტრის ერთობლივ ოპერაციაში (მე-5, მე-12 შენიშვნები).

წარმოადგენს ფულადი სახსრების წარმომქმნელ ორ განცალკევებულ ერთეულს, რომელთა გაუფასურება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად მოწმდება, თუ მოვლენები ან გარემოებები მიანიშნებს ანაზღაურებადი ღირებულების შემცირებაზე.

ხელმძღვანელობის გაუფასურების ანალიზი მოიცავს შემდეგს:

- ▶ სათანადო ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების განსაზღვრა, რომლებსაც გუდვილი უნაწილდება;
- ▶ მომავალი ფულადი ნაკადების პროგნოზირება (მოსალოდნელი სინერგიების ჩათვლით) და შესაბამისი დისკონტირების განაკვეთის შერჩევა;
- ▶ იმის შეფასება, მოთხოვნების მაჩვენებლების გაუარესებამ ან ცვლილებებმა რეგულაციებში შეიძლება თუ არა გავლენა მოახდინოს პროგნოზირებულ ფულად ნაკადებზე.

თუ ანაზღაურებადი ღირებულება ნებისმიერი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისა, რომელიც შეფასებულია ან გამოყენების ღირებულებით, ან გასვლის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით, არის ნაკლები მის საბალანსო ღირებულებაზე, გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება ჯერ გუდვილის და შემდეგ დარჩენილი წმინდა აქტივების შემცირებით პროპორციულად. ასეთი გაუფასურების ზარალი სამომავლო პერიოდებში არ უქმდება.

(ათას ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

გუდვილის გაუფასურების ტესტი (გაგრძელება)

სცენარები

სხვადასხვა სცენარის გამოყენებით შეფასდა მომდევნო ხუთი წლის საოპერაციო და საბაზრო პირობების პოტენციური ცვალებადობა:

საბაზო სცენარი: ასახავს საბჭოს მიერ დამტკიცებულ ბიუჯეტს, რომელიც მოიცავს 2025–2029 წლების პერიოდს.

ალტერნატიული სცენარები: ითვალისწინებს სხვადასხვა დაშვებას ზრდის ტემპების, მარეგულირებლის ფაქტორების ან დანახარჯების სტრუქტურების შესახებ, რომ შეაფასოს ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების მგრძნობელობა.

დისკონტირების განაკვეთი

პროგნოზირებული ფულადი ნაკადების დისკონტირებისთვის 19.5%–იანი კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულებაა გამოყენებული.

საბაზისო სცენარში საპროგნოზო პერიოდის შემდგომი ზრდის ტემპი იყო 0%.

მგრძნობელობის ანალიზი

მგრძნობელობის ანალიზი ჩატარდა ძირითადი დაშვებების, მათ შორის დისკონტის განაკვეთისა და საპროგნოზო პერიოდის შემდგომი ზრდის ტემპის კორექტირებით. ამ ანალიზების შედეგებზე დაყრდნობით, ანაზღაურებადი ღირებულებები ყველა სცენარში აღემატება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების საბალანსო ღირებულებებს და ამიტომ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არანაირი გაუფასურება არ აღიარებულა.

5. საწარმოთა გაერთიანება და ერთობლივ ოპერაციაში ინვესტიციის შეძენა

სადაზღვევო პორტფელის შეძენა

2024 წლის 1 მაისს კომპანიამ შეიძინა სადაზღვევო პორტფელი სს „სადაზღვევო კომპანია ავტოგრაფისგან“, რომელიც მოიცავდა მატერიალურ და არამატერიალურ აქტივებს (მათ შორის, მომხმარებელთან ურთიერთობის ინდივიდუალურად იდენტიფიცირებად აქტივებს), სამუშაო ძალას და ანდერატიუნგისა და მომხმარებელთა მართვის პროცესებს. ხელმძღვანელობამ განსაჯა, რომ ეს ელემენტები შეადგენდა საქმიანობის განუყოფელ ერთობლიობას, რომელსაც შეუძლია პროდუქციის შექმნაში მონაწილეობის მიღება და ამიტომ აკმაყოფილებდა ფასს 3–ის კრიტერიუმებს საწარმოთა გაერთიანებისთვის.

ყველა იდენტიფიცირებადი აქტივი და ვალდებულება შეფასდა სამართლიანი ღირებულებით. სადაზღვევო ხელშეკრულებებზე, რომლებიც შეფასებულია ფასს 17–ის გამოყენებით მათი მოკლევადიანი დაფარვის გამო, გამოყენებულია პრემიების განაწილებაზე დაფუძნებული მიდგომა. შეძენის შედეგად წარმოშობილი გუდვილი 15,870 ლარის ოდენობით ასახავს მოსალოდნელ სინერგიებს, ბაზრის გაფართოებას და საოპერაციო ეფექტურობას.

(ათას ლარში)

5. საწარმოთა გაერთიანება და ერთობლივ ოპერაციაში ინვესტიციის შეძენა (გაგრძელება)

სადაზღვევო პორტფელის შეძენა (გაგრძელება)

შეძენილი აქტივები და ნაკისრი ვალდებულებები

შეძენის თარიღისთვის ამოცნობადი აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები ასეთი იყო:

	სულ
გადაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივი	177
ძირითადი საშუალებები (მე-11 შენიშვნა)	424
არამატერიალური აქტივები (მე-12 შენიშვნა)	648
სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები (მე-8 შენიშვნა)	(10,161)
სხვა ვალდებულებები	(47)
შეძენილი წმინდა სადაზღვევო აქტივები (მე-8 შენიშვნა)	(9,984)
შეძენილი სხვა წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება	1,026
სულ წმინდა იდენტიფიცირებადი აქტივები	(8,958)
გადახდილი საფასური	6,912
გუდვილი	15,870

არამატერიალური აქტივები მოიცავს მომხმარებელთან ურთიერთობის არამატერიალურ აქტივს 390 ლარის ოდენობით, რომელიც აღიარდა საწარმოთა გაერთიანების შედეგად.

ერთობლივ ოპერაციაში წილის შეძენა

2024 წლის 1 მაისს კომპანიამ შეიძინა წილი სავალდებულო დაზღვევის ცენტრის სადაზღვევო ფონდში, რომელიც, როგორც შეფასდა, შეადგენს ბიზნესს ფასს 3-ის „საწარმოთა გაერთიანება“ თანახმად, არსებული სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღების უფლების გამო. გარიგება განისაზღვრა, როგორც ერთობლივი ოპერაცია ფასს 11-ის „ერთობლივი საქმიანობა“ თანახმად, ვინაიდან მხარეებს აქვთ უფლებები აქტივებზე და აკისრიათ გარიგების ვალდებულებები. გადაცემულმა საზღაურმა შეადგინა 654 ლარი.

ინდივიდუალური არამატერიალური აქტივები არ აღიარებულა გარიგების ხასიათის გამო, რომელიც ძირითადად შეიცავდა უფლებებს მომავალ ამონაგებზე. და ინდივიდუალურად იდენტიფიცირებადი არამატერიალური აქტივები არ გადაცემულა შეძენის თარიღისთვის. ის თანხა, რომლითაც გადაცემული საზღაური აღემატებოდა იდენტიფიცირებად წმინდა აქტივებში კომპანიის წილის სამართლიან ღირებულებას, აღიარდა, როგორც გუდვილი 654 ლარის ოდენობით. ნებისმიერი შემდგომი მონაწილეობა დაფინანსებაში ერთობლივი ოპერაციის კაპიტალური ან საოპერაციო დანახარჯების მიმართ აღირიცხება ხარჯების სახით.

6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წარმოადგენს საქართველოს ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებს და მოთხოვნამდე ანაზრებს. ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების საკრედიტო რეიტინგები 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასე გამოიყურებოდა:

საკრედიტო რეიტინგი	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
BB+	3,156	–
BB	2,635	–
B	1,633	–
BB	1,003	–
B+	56	–
მთლიანი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8,483	–

(ათას ლარში)

6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (გაგრძელება)

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნით, სავალდებულოა რეზერვის ანგარიშზე მინიმალური დონის ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების განთავსება სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების 10%-ის ოდენობით, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის სავალდებულო რეზერვის მოთხოვნის შესახებ დადგენილების შესაბამისად, რაც საანგარიშგებო თარიღისთვის 1,285 ლარს შეადგენდა. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არაარსებითად შეფასდა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2024 წელს ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე დარიცხულმა საპროცენტო შემოსავალმა 79 ლარი შეადგინა (2023 წ.: ნული) (მე-15 შენიშვნა).

7. საბანკო ანაზრები

საბანკო ანაზრები 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასე გამოიყურება:

საკრედიტო დაწესებულებები	დაფარვის თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	საკრედიტო რეიტინგი	ვალუტა	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
კრედიტ ბანკი	მაისი, 2026 წ.	13.00%	B	ლარი	4,347	–
საქართველოს ბანკი	მაისი, 2025 წ.	10.45%	BB	ლარი	3,717	–
თიბისი ბანკი	მაისი, 2025 წ.	10.80%	BB	ლარი	3,724	–
თიბისი ბანკი	მაისი, 2026 წ.	12.10%	BB	ლარი	3,453	–
კრედიტ ბანკი	მაისი, 2025 წ.	11.40%	B	ლარი	2,669	–
ლიბერთი ბანკი	ივნისი, 2025 წ.	10.50%	B+	ლარი	1,589	–
თიბისი ბანკი	ივლისი, 2025 წ. სექტემბერი,	2.00%	BB	ლარი	36	–
თიბისი ბანკი	2025 წ.	2.00%	BB	ლარი	21	–
თიბისი ბანკი	მარტი, 2026 წ. ოქტომბერი,	2.00%	BB	ლარი	11	–
თიბისი ბანკი	2025 წ.	2.00%	BB	ლარი	5	–
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი (საკრედიტო ზარალი)					(10)	–
სულ საბანკო ანაზრები					19,562	–

2023 წელს დინამიკა არ დაფიქსირებულა. 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შეჯერება ასე გამოიყურება:

	2024
1 იანვრის მდგომარეობით	–
ანაზრების განთავსება	19,700
შემოსულობა ანაზრების გატანიდან	(1,500)
განთავსებული დეპოზიტები გარანტიებზე	73
საპროცენტო შემოსავალი	1,520
მიღებული პროცენტი	(221)
გაუფასურების რეზერვი	(10)
31 დეკემბრის მდგომარეობით	19,562

(ათას ლარში)

8. დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებები

ქვემოთ წარმოდგენილია სადაზღვევო მომსახურების ხარჯების ჩაშლა ძირითადი პროდუქტების მიხედვით 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის:

სადაზღვევო მომსახურების ხარჯები

	ჯანდაცვა	ავტო	უძრავი ქონება	მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობის ზოგადი დაზღვევა	სხვა	მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა	სულ
სადაზღვევო მოთხოვნები და სხვა ხარჯები	38,490	4,930	199	83	293	174	44,169
დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადების ამორტიზაცია	2,847	583	80	36	225	–	3,771
სულ სადაზღვევო მომსახურების ხარჯი	41,337	5,513	279	119	518	174	47,940

ქვემოთ მოცემულია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოშვებული დაზღვევისა და გადაზღვევის ხელშეკრულებებისა და ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფები, რომლებიც კლასიფიცირებულია აქტივების პოზიციებში და ვალდებულებების პოზიციებში:

გამოშვებული სადაზღვევო ხელშეკრულებები	აქტივები	ვალდებულებები	წმინდა
ჯანმრთელობის დაზღვევა	–	(9,688)	(9,688)
ავტოდაზღვევა	–	(1,676)	(1,676)
ქონების დაზღვევა	–	(304)	(304)
მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობის ზოგადი დაზღვევა	–	(102)	(102)
სხვა მიმართულებები	–	(380)	(380)
მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა	–	(84)	(84)
სულ გამოშვებული სადაზღვევო ხელშეკრულებები	–	(12,234)	(12,234)

ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებები	აქტივები	ვალდებულებები	წმინდა
ჯანმრთელობის დაზღვევა	–	–	–
ავტოდაზღვევა	845	(1,167)	(322)
ქონების დაზღვევა	50	–	50
მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობის ზოგადი დაზღვევა	117	–	117
სხვა მიმართულებები	62	–	62
სულ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებები	1,074	(1,167)	(93)

(ათას ლარში)

8. დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებები (გაგრძელება)

გამოშვებული სადაზღვევო ხელშეკრულებების წმინდა აქტივების ან ვალდებულებების ნაშთის მომდევნო პერიოდზე გადატანა, რომელიც ასახავს დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებას და დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილ ვალდებულებას 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის:

დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება და დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები

დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება	დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება			დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადებთან მიმართებით აღიარებული აქტივი	სულ
	სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების შეფასება	რისკის კორექტირება			
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	-	-	-
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	-	-	-
სადაზღვევო ხელშეკრულებების წმინდა (აქტივები)/ვალდებულებები 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	-	-	-
საწარმოთა გაერთიანების შედეგად შეძენილი პორტფელი	(3,325)	(6,456)	(199)	(181)	(10,161)
სადაზღვევო ამონაგები (1%-იანი საზედამხედველო საკომისიოს გამოკლებით)	62,383	-	-	-	62,383
სადაზღვევო მომსახურების ხარჯები	-	(44,133)	(36)	(3,771)	(47,940)
დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები და სხვა ხარჯები	-	(44,133)	(36)	-	(44,169)
დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადების ამორტიზაცია	-	-	-	(3,771)	(3,771)
გაწეული სადაზღვევო მომსახურების შედეგი	62,383	(44,133)	(36)	(3,771)	14,443
ეფექტი საფალუტო კურსის ცვლილების დინამიკაზე	132	-	-	(13)	119
სულ ცვლილება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში	62,515	(44,133)	(36)	(3,784)	14,562
ფულადი ნაკადები					
მიღებული პრემიები	62,378	-	-	-	62,378
მოთხოვნების დარეგულირება	-	(42,402)	-	-	(42,402)
დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები	-	-	-	(3,569)	(3,569)
სულ ფულადი ნაკადები	62,378	(42,402)	-	(3,569)	16,407
ურთიერთგადაფარვა	(553)	291	-	-	(262)
სხვა ცვლილების დინამიკა	-	-	-	34	34
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(3,741)	(7,896)	(235)	(362)	(12,234)
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	-	-	-
სადაზღვევო ხელშეკრულებების წმინდა აქტივები/ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(3,741)	(7,896)	(235)	(362)	(12,234)

(ათას ლარში)

8. დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებები (გაგრძელება)

დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება და დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები (გაგრძელება)

	ჯანმრთელობის დაზღვევა					ავტოდაზღვევა				
	დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან					დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან				
	წარმოშობილი ვალდებულება					წარმოშობილი ვალდებულება				
	სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების შეფასება	რისკის კორექტირება	დაზღვევის აკვიზიციის ფულად ნაკადებთან მიმართებით აღიარებული აქტივი		სულ	სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების შეფასება	რისკის კორექტირება	დაზღვევის აკვიზიციის ფულად ნაკადებთან მიმართებით აღიარებული აქტივი		სულ
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
სადაზღვევო ხელშეკრულებების წმინდა (აქტივები)/ვალდებულებები 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
საწარმოთა გაერთიანების შედეგად შეძენილი პორტფელი	(1,455)	(5,913)	(182)	(215)	(7,765)	(1,582)	(354)	(11)	69	(1,878)
სადაზღვევო ამონაგები (1%-იანი საზედამხედველო საკომისიოს გამოკლებით)	51,779	-	-	-	51,779	6,305	-	-	-	6,305
სადაზღვევო მომსახურების ხარჯები	-	(38,442)	(48)	(2,847)	(41,337)	-	(4,938)	8	(583)	(5,513)
დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები და სხვა ხარჯები	-	(38,442)	(48)	-	(38,490)	-	(4,938)	8	-	(4,930)
დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადების ამორტიზაცია	-	-	-	(2,847)	(2,847)	-	-	-	(583)	(583)
გაწეული სადაზღვევო მომსახურების შედეგი	51,779	(38,442)	(48)	(2,847)	10,442	6,305	(4,938)	8	(583)	792

(ათას ლარში)

	ჯანმრთელობის დაზღვევა					ავტოდაზღვევა				
	დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება					დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება				
	სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების შეფასება			დაზღვევის აკვიზიციის ფულად ნაკადებთან მიმართებით აღიარებული აქტივი	სულ	სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების შეფასება			დაზღვევის აკვიზიციის ფულად ნაკადებთან მიმართებით აღიარებული აქტივი	სულ
	დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება	რისკის კორექტირება				დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება	რისკის კორექტირება			
	2	–	–	(22)	(20)	104	–	–	42	146
ეფექტი სავალუტო კურსის ცვლილების დინამიკაზე										
სულ ცვლილება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში	51,781	(38,442)	(48)	(2,869)	10,422	6,409	(4,938)	8	(541)	938
ფულადი ნაკადები										
მიღებული პრემიები	51,928	–	–	–	51,928	6,236	–	–	–	6,236
მოთხოვნების დარეგულირება	–	(36,843)	–	–	(36,843)	–	(5,065)	–	–	(5,065)
დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები	–	–	–	(2,795)	(2,795)	–	–	–	(465)	(465)
სულ ფულადი ნაკადები	51,928	(36,843)	–	(2,795)	12,290	6,236	(5,065)	–	(465)	706
ურთიერთგადაფარვა	(214)	150	–	–	(64)	(37)	–	–	–	(37)
სხვა ცვლილების დინამიკა	–	–	–	10	10	–	–	–	5	5
სადაზღვევო ხელშეკრულებების წმინდა აქტივები/ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(1,816)	(7,362)	(230)	(279)	(9,687)	(1,446)	(227)	(3)	(2)	(1,678)
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(1,816)	(7,362)	(230)	(279)	(9,687)	(1,446)	(227)	(3)	(2)	(1,678)
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	–	–	–	–	–	–	–	–	–	–
სადაზღვევო ხელშეკრულებების წმინდა აქტივები/ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(1,816)	(7,362)	(230)	(279)	(9,687)	(1,446)	(227)	(3)	(2)	(1,678)

(ათას ლარში)

8. დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებები (გაგრძელება)

დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება და დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები (გაგრძელება)

	მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობის ზოგადი დაზღვევა					მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა				
	დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან					დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან				
	წარმოშობილი ვალდებულება					წარმოშობილი ვალდებულება				
	სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების		დაზღვევის აკვიზიციის ფულად ნაკადებთან მიმართებით აღიარებული		სულ	სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების		დაზღვევის აკვიზიციის ფულად ნაკადებთან მიმართებით აღიარებული		სულ
	დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება	რისკის კორექტირება	აქტივი	პაზივი		დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება	რისკის კორექტირება	აქტივი	პაზივი	
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
სადაზღვევო ხელშეკრულებების წმინდა (აქტივები)/ვალდებულებები 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
საწარმოთა გაერთიანების შედეგად შეძენილი პორტფელი	(163)	(1)	-	8	(156)	-	-	-	-	-
სადაზღვევო ამონაგები (1%-იანი საზედამხებდელო საკომისიოს გამოკლებით)	394	-	-	-	394	1,530	-	-	-	1,530
სადაზღვევო მომსახურების ხარჯები	-	(83)	-	(36)	(119)	-	(174)	-	-	(174)
დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები და სხვა ხარჯები	-	(83)	-	-	(83)	-	(174)	-	-	(174)
დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადების ამორტიზაცია	-	-	-	(36)	(36)	-	-	-	-	-
გაწეული სადაზღვევო მომსახურების შედეგი	394	(83)	-	(36)	275	1,530	(174)	-	-	1,356
ეფექტი სავალუტო კურსის ცვლილების დინამიკაზე	4	-	-	3	7	-	-	-	-	-
სულ ცვლილება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში	398	(83)	-	(33)	282	1,530	(174)	-	-	1,356

(ათას ლარში)

	მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობის ზოგადი დაზღვევა					მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა				
	დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან					დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან				
	წარმოშობილი ვალდებულება					წარმოშობილი ვალდებულება				
	სამომავლო ფულადი ნაკადების დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება		დაზღვევის აკვიზიციის ფულად ნაკადებთან მიმართებით აღიარებული აქტივი		სულ	სამომავლო ფულადი ნაკადების დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება		დაზღვევის აკვიზიციის ფულად ნაკადებთან მიმართებით აღიარებული აქტივი		სულ
	დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება	დღევანდელი ღირებულების შეფასება	რისკის კორექტირება	რისკის კორექტირება		დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება	დღევანდელი ღირებულების შეფასება	რისკის კორექტირება	რისკის კორექტირება	
ფულადი ნაკადები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
მიღებული პრემიები	325	-	-	-	325	1,264	-	-	-	1,264
მოთხოვნების დარეგულირება	-	(81)	-	-	(81)	-	-	-	-	-
დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები	-	-	-	(20)	(20)	-	-	-	-	-
სულ ფულადი ნაკადები	325	(81)	-	(20)	224	1,264	-	-	-	1,264
ურთიერთგადაფარვა	(6)	-	-	-	(6)	(315)	141	-	-	(174)
სხვა ცვლილების დინამიკა	-	-	-	2	2	-	-	-	-	-
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები										
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(96)	(3)	-	(3)	(102)	(49)	(33)	-	-	(82)
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები										
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
სადაზღვევო ხელშეკრულებების წმინდა აქტივები/ვალდებულებები										
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(96)	(3)	-	(3)	(102)	(49)	(33)	-	-	(82)

(ათას ლარში)

8. დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებები (გაგრძელება)

დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება და დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები (გაგრძელება)

	ქონების დაზღვევა					სხვა მიმართულებები				
	დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება					დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება				
	სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების შეფასება		დაზღვევის აკვიზიციის ფულად ნაკადებთან მიმართებით აღიარებული აქტივი		სულ	სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების შეფასება		დაზღვევის აკვიზიციის ფულად ნაკადებთან მიმართებით აღიარებული აქტივი		სულ
	დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება	რისკის კორექტირება	რისკის კორექტირება	აქტივი		დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება	რისკის კორექტირება	რისკის კორექტირება	აქტივი	
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
სადაზღვევო ხელშეკრულებების წმინდა (აქტივები)/ვალდებულებები 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
საწარმოთა გაერთიანების შედეგად შეძენილი პორტფელი	(144)	(5)	-	1	(148)	19	(183)	(6)	(44)	(214)
სადაზღვევო ამონაგები (1%-იანი საზედამხედველო საკომისიოს გამოკლებით)	773	-	-	-	773	1,602	-	-	-	1,602
სადაზღვევო მომსახურების ხარჯები	-	(199)	-	(80)	(279)	-	(297)	4	(225)	(518)
დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები და სხვა ხარჯები	-	(199)	-	-	(199)	-	(297)	4	-	(293)
დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადების ამორტიზაცია	-	-	-	(80)	(80)	-	-	-	(225)	(225)
გაწეული სადაზღვევო მომსახურების შედეგი	773	(199)	-	(80)	494	1,602	(297)	4	(225)	1,084
ეფექტი სავალუტო კურსის ცვლილების დინამიკაზე	16	-	-	3	19	6	-	-	(39)	(33)
სულ ცვლილება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში	789	(199)	-	(77)	513	1,608	(297)	4	(264)	1,051

(ათას ლარში)

	ქონების დაზღვევა					სხვა მიმართულებები				
	დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება					დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება				
	სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების შეფასება		დაზღვევის აკვიზიციის ფულად ნაკადებთან მიმართებით აღიარებული აქტივი		სულ	სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების შეფასება		დაზღვევის აკვიზიციის ფულად ნაკადებთან მიმართებით აღიარებული აქტივი		სულ
	დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება	რისკის კორექტირება	რისკის კორექტირება	აქტივი		დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება	რისკის კორექტირება	რისკის კორექტირება	აქტივი	
	ვალდებულება	შეფასება	კორექტირება	აქტივი	სულ	ვალდებულება	შეფასება	კორექტირება	აქტივი	სულ
ფულადი ნაკადები	–	–	–	–	–	–	–	–	–	–
მიღებული პრემიები	817	–	–	–	817	1,808	–	–	–	1,808
მოთხოვნების დარეგულირება	–	(78)	–	–	(78)	–	(335)	–	–	(335)
დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები	–	–	–	(42)	(42)	–	–	–	(247)	(247)
სულ ფულადი ნაკადები	817	(78)	–	(42)	697	1,808	(335)	–	(247)	1,226
ურთიერთგადაფარვა	24	–	–	–	24	(5)	–	–	–	(5)
სხვა ცვლილების დინამიკა	–	–	–	3	3	–	–	–	14	14
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები										
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(148)	(126)	–	(31)	(305)	(186)	(145)	(2)	(47)	(380)
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები										
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	–	–	–	–	–	–	–	–	–	–
სადაზღვევო ხელშეკრულებების წმინდა აქტივები/ვალდებულებები										
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(148)	(126)	–	(31)	(305)	(186)	(145)	(2)	(47)	(380)

(ათას ლარში)

8. დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებები (გაგრძელება)

დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება და დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები (გაგრძელება)

ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების წმინდა აქტივების ან ვალდებულებების ნაშთის მომდევნო პერიოდზე გადატანა, რომელიც ასახავს დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის აქტივებს და დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან ანაზღაურებად თანხებს:

დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის აქტივები	დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან ანაზღაურებადი თანხები	სულ
ზარალის კომპენსაციის კომპონენტის გამორიცხვა	სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების შეფასება	
გადაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-
გადაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-
გადაზღვევის ხელშეკრულებების წმინდა (აქტივები)/ვალდებულებები 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-
საწარმოთა გაერთიანების შედეგად შემენილი პორტფელი	(323)	500
გადაზღვევის პრემიების განაწილება	(1,994)	-
დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებისთვის		
გადაზღვევებისგან ანაზღაურებადი თანხები	-	877
დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებისა და სხვა ხარჯების ანაზღაურებადი თანხები	-	831
ცვლილებები დამდგარი სადაზღვევო შემთხვევების ასანაზღაურებელ თანხებში	-	46
წმინდა შემოსავალი ან ხარჯი ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან	(1,994)	877
ფექტი სავალუტო კურსის ცვლილების დინამიკაზე	(54)	24
სულ ცვლილება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში	(2,048)	901
ფულადი ნაკადები	-	-
გადახდილი პრემიები	(952)	-
მიღებული თანხები	-	78
სულ ფულადი ნაკადები	(952)	78
ურთიერთგადაფარვა	480	(477)
გადაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	228	846
გადაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(1,167)	-
გადაზღვევის ხელშეკრულებების წმინდა (აქტივები)/ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(939)	846

(ათას ლარში)

8. დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებები (გაგრძელება)

დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება და დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები (გაგრძელება)

	ავტომობილის გადაზღვევა			ქონების გადაზღვევა		
	დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის აქტივები	სადაზღვევო შემთხვევებიდან ანაზღაურებადი თანხები სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების შეფასება	სულ	დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის აქტივები	სადაზღვევო შემთხვევებიდან ანაზღაურებადი თანხები სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების შეფასება	სულ
გადაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	-	-	-	-
გადაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	-	-	-	-
გადაზღვევის ხელშეკრულებების წმინდა (აქტივები)/ ვალდებულებები 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	-	-	-	-
საწარმოთა გაერთიანების შედეგად შეძენილი პორტფელი	(408)	500	92	(3)	-	(3)
გადაზღვევის პრემიების განაწილება დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებისთვის	(1,253)	-	(1,253)	(408)	-	(408)
გადამზღვეველებისგან ანაზღაურებადი თანხები	-	799	799	-	-	-
დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებისა და სხვა ხარჯების ანაზღაურებადი თანხები	-	753	753	-	-	-
ცვლილებები დამდგარი სადაზღვევო შემთხვევების ასანაზღაურებელ თანხებში	-	46	46	-	-	-
წმინდა შემოსავალი ან ხარჯი ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან	(1,253)	799	(454)	(408)	-	(408)
ეფექტი სავალუტო კურსის ცვლილების დინამიკაზე	(40)	24	(16)	(21)	-	(21)
სულ ცვლილება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში	(1,293)	823	(470)	(429)	-	(429)
ფულადი ნაკადები						
გადახდილი პრემიები	(57)	-	(57)	(480)	-	(480)
სულ ფულადი ნაკადები	(57)	-	(57)	(480)	-	(480)
ურთიერთგადაფარვა	477	(477)	-	2	-	2
გადაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	846	846	50	-	50
გადაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(1,167)	-	(1,167)	-	-	-
გადაზღვევის ხელშეკრულებების წმინდა (აქტივები)/ ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(1,167)	846	(321)	50	-	50

(ათას ლარში)

8. დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებები (გაგრძელება)

დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება და დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები (გაგრძელება)

	მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევა			სხვა მიმართულებები		
	დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის აქტივები	დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან ანაზღაურებადი თანხები	სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების შეფასება	დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის აქტივები	დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან ანაზღაურებადი თანხები	სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების შეფასება
	ზარალის კომპენსაციის კომპონენტის გამორიცხვა	სულ		ზარალის კომპენსაციის კომპონენტის გამორიცხვა	სულ	
გადაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	-	-	-	-
გადაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	-	-	-	-
გადაზღვევის ხელშეკრულებების წმინდა (აქტივები)/ ვალდებულებები 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	-	-	-	-
საწარმოთა გაერთიანების შედეგად შეძენილი პორტფელი	53	-	53	35	-	35
გადაზღვევის პრემიების განაწილება დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებისთვის	(128)	-	(128)	(205)	-	(205)
გადაზღვევებისგან ანაზღაურებადი თანხები	-	78	78	-	-	-
დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებისა და სხვა ხარჯების ანაზღაურებადი თანხები	-	78	78	-	-	-
წმინდა შემოსავალი ან ხარჯი ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან	(128)	78	(50)	(205)	-	(205)
ეფექტი სავალუტო კურსის ცვლილების დინამიკაზე მოგებიდან საკომისიო	(12)	-	(12)	19	-	19
სულ ცვლილება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში	(140)	78	(62)	(186)	-	(186)
ფულადი ნაკადები გადახდილი პრემიები	(202)	-	(202)	(213)	-	(213)
მიღებული თანხები	-	78	78	-	-	-
სულ ფულადი ნაკადები	(202)	78	(124)	(213)	-	(213)
ურთიერთგადაფარვა გადაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2	-	2	(1)	-	(1)
გადაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	117	-	117	61	-	61
გადაზღვევის ხელშეკრულებების წმინდა (აქტივები)/ ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	117	-	117	61	-	61

(ათას ლარში)

9. გაცემული სესხი

პორტფელის შეძენის შეთანხმების ფარგლებში, ბიზნესის ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ და როგორც კი ბატონი არმაზ თავაძის წილობრივმა მონაწილეობამ 51% შეადგინა სს „სადაზღვევო კომპანია ავტოგრაფში“, კომპანიამ ბატონ არმაზ თავაძეზე და შპს „ავტოგრაფ ინვესტიმენტზე“ სესხი გასცა. ეს სესხები უზრუნველყოფილია სს „სადაზღვევო კომპანია ავტოგრაფის“ აქციების 51%-ით.

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემული სესხები ასე გამოიყურება:

	დაფარვის თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
იურიდიულ პირზე გაცემული სესხი	სექტ., 2027 წ.	სეზ რეფ.+3.5%	ლარი	2,680	–
ფიზიკურ პირზე გაცემული სესხი	სექტ., 2027 წ.	სეზ რეფ.+3.5%	ლარი	412	–
სულ				3,092	–
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი =				(1)	–
სულ გაცემული სესხი				3,091	–

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შეჯერება ასე გამოიყურება:

	2024
1 იანვრის მდგომარეობით	–
გაცემის	3,000
საპროცენტო შემოსავალი	92
გაუფასურების რეზერვი	(1)
31 დეკემბრის მდგომარეობით	3,091

10. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

2024 წელს კომპანიამ გააფორმა ახალი საიჯარო ხელშეკრულებები მესამე მხარესთან თავის საოფისე შენობებზე. იჯარის ვადა 2–4 წელია და საიჯარო გადახდები გამოხატულია აშშ დოლარში.

საიჯარო ვალდებულებების ცვლილების დინამიკა ასე გამოიყურება:

	2024	2023
1 იანვრის მდგომარეობით	–	–
შემოსვლები	1,334	–
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	71	–
სხვა ცვლილების დინამიკა	(107)	–
სალიზინგო ვალდებულებების დაფარვა	(344)	–
სავალუტო კურსის ცვლილების დინამიკა	53	–
31 დეკემბრის მდგომარეობით	1,007	–

(ათას ლარში)

10. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები (გაგრძელება)

აქტივის გამოყენების უფლება 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასე გამოიყურება:

	აქტივის გამოყენების უფლება (შენიშვნები)
მთლიანი სააღრიცხვო ღირებულება	
03-დეკ-23	–
31-დეკ-23	–
შემოსვლები	1,334
31-დეკ-24	1,334
დაგროვილი ცვეთა	
03-დეკ-23	–
31-დეკ-23	–
ცვეთის ხარჯი	(367)
31-დეკ-24	(367)
წმინდა სააღრიცხვო ღირებულება	
31-დეკ-23	–
31-დეკ-24	967

11. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ცვლილების დინამიკა 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის ასე გამოიყურება:

	კომპიუტერული ტექნიკა	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და საოფისე აღჭურვილობა	საიჯარო ქონების გაუმჯობესება	სულ
მთლიანი სააღრიცხვო ღირებულება					
3 დეკემბერი, 2023 წ.	–	–	–	–	–
31 დეკემბერი, 2023 წ.	–	–	–	–	–
შემენა საწარმოთა გაერთიანების გზით (მე-5 შენიშვნა)	313	56	55	–	424
შემოსვლები	59	53	38	2	152
გასვლები	(11)	(10)	(8)	–	(29)
31 დეკემბერი, 2024 წ.	361	99	85	2	547
დაგროვილი ცვეთა					
3 დეკემბერი, 2023 წ.	–	–	–	–	–
31 დეკემბერი, 2023 წ.	–	–	–	–	–
ცვეთის ხარჯი	(36)	(4)	(7)	–	(47)
გასვლები	–	–	–	–	–
31 დეკემბერი, 2024 წ.	(36)	(4)	(7)	–	(47)
წმინდა სააღრიცხვო ღირებულება					
31 დეკემბერი, 2023 წ.	–	–	–	–	–
31 დეკემბერი, 2024 წ.	325	95	78	2	500

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები არ არის გამოყენებული უზრუნველყოფის სახით.

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ აქვს სრულად გაუფასურებული ძირითადი საშუალებები, რომლებიც ჯერაც გამოიყენება კომპანიის მიერ.

(ათას ლარში)

12. გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები

გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასე გამოიყურება:

	გუდვილი	კომპიუტ- რული პროგრამები	კლიენტებთან ურთიერთ- ბის აქტივი	სხვა არამატერია- ლური აქტივები	სულ
მთლიანი სააღრიცხვო ღირებულება					
3 დეკემბერი, 2023 წ.	-	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2023 წ.	-	-	-	-	-
შემენა საწარმოთა გაერთიანების გზით (მე-5 შენიშვნა)	15,870	258	390	-	16,518
შემენა ერთობლივი ოპერაციის მეშვეობით (მე-5 შენიშვნა)	654	-	-	-	654
შემოსვლები	-	354	-	8	362
31 დეკემბერი, 2024 წ.	16,524	612	390	8	17,534
3 დეკემბერი, 2023 წ.	-	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2023 წ.	-	-	-	-	-
საამორტიზაციო დანარიცხი	-	(42)	-	-	(42)
31 დეკემბერი, 2024 წ.	-	(42)	-	-	(42)
წმინდა სააღრიცხვო ღირებულება					
31 დეკემბერი, 2023 წ.	-	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2024 წ.	16,524	570	390	8	17,492

გუდვილის გაუფასურების ტესტი ტარდება ყოველწლიურად ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის დონეზე და ექვემდებარება ხელმძღვანელობის გადახედვას. გუდვილის გაუფასურების ყველაზე ბოლო ტესტი ჩატარდა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. გუდვილის გაუფასურება არ გამოვლენილა აღნიშნული თარიღისთვის. მნიშვნელოვანი დაშვებები გუდვილის გაუფასურების ტესტთან დაკავშირებით წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

13. სხვა აქტივები

სხვა აქტივები 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასე გამოიყურება:

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსი	517	-
წინასწარ გადახდილი გადასახადი	137	-
სხვა აქტივები	42	-
მთლიანი სხვა აქტივები	696	-

14. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასე გამოიყურება:

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
სავაჭრო ვალდებულებები	628	-
ზედამხედველობის გასამრჯელო	622	-
ხელფასები და სხვა გადასახდელი სარგებელი	432	-
სხვა ვალდებულებები	77	-
მთლიანი სხვა ვალდებულებები	1,759	-

(ათას ლარში)

15. ინვესტიციის შედეგი

ინვესტიციის შედეგი 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის მოიცავს შემდეგს:

	2024	2023
საბანკო ანაზღაურებები	1,520	–
გაცემული სესხები	92	–
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	79	–
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით გაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი	1,691	–
ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი	(10)	–
ინვესტიციის შედეგი	1,681	–

16. ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები

ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის მოიცავდა შემდეგს:

	2024	2023
ხელფასები	(3,118)	–
პრემიები	(751)	–
აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურება (მე–17 შენიშვნა)	(523)	–
დაზღვევა და სხვა გასამრჯელოები	(441)	–
ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები	(4,833)	–

17. აქციებზე დაფუძნებული გადახდის სქემები

კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა იღებს თავისი ფიქსირებული წლიური ანაზღაურების ნაწილს სს „არდის“ B ტიპის აქციების სახით, რომლებიც 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არის გამოშვებული. მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელები, რომლებიც ასევე არიან კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრები, იღებენ აქციებზე დაფუძნებული გადახდის ჯილდოებს სს „ა ჯგუფის“ აქციების სახით, რომელთა ანგარიშსწორება ხდება მშობელი საწარმოს მიერ და მშობელი საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება, როგორც ჯილდოები წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით. კომპანია თავის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებს თავის პროპორციულ წილს მთლიან აქციებზე დაფუძნებულ დანარიცხებში შესაბამისი დასაქმებულებისთვის.

ანაზღაურების თანხა კომპანიისა და მშობელი საწარმოს აქციების სახით, წარმოადგენს ფიქსირებულ ფულად თანხას, რა დროსაც აქციების რაოდენობა გამოითვლება, შესაბამისად, კომპანიისა და მშობელი საწარმოს აქტივის წმინდა ღირებულების საფუძველზე. ყველა გაცემაზე უფლების მინიჭება თანაბრად ხდება ხუთი წლის ვადაზე, რომლის ათვლა იწყება გაცემის წლის მომდევნო წლის 1 იანვრიდან.

ქვემოთ, ცხრილში, წარმოდგენილია მთლიანი აქციებზე დაფუძნებული გადახდის ხარჯები, რომლებიც წლის განმავლობაში აღიარდა:

	2024	2023
კომპანიის აქციების გადაცემა	(235)	–
მშობელი საწარმოს აქციების გადაცემა	(288)	–
სულ აქციებზე დაფუძნებული გადახდის ხარჯი	(523)	–

2024 წლის ბოლოსთვის აქციებზე უფლებები არ მინიჭებულა და არ ჩამორთმეულა, ვინაიდან უფლების მინიჭების ვადა იწყება მომავალ პერიოდებში.

2024 წლამდე აქციები არ გადაცემულა.

(ათას ლარში)

18. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მოიცავდა შემდეგს:

	2024	2023
პროფესიული მომსახურება (აუდიტორული და იურიდიული)	(334)	–
პროგრამული მხარდაჭერა	(203)	–
მარკეტინგი და რეკლამა	(190)	–
შეკეთება და ტექნიკური მომსახურება	(126)	–
კომუნიკაცია	(124)	–
საოფისე მარაგები	(107)	–
პერსონალის გადამზადება	(94)	–
კომუნალური მომსახურება	(76)	–
სამიწვლინებო ხარჯები	(52)	–
შენობის დატვირთვა და ქირა	(38)	–
წარმომადგენლები	(33)	–
საქველმოქმედო საქმიანობა	(11)	–
ბანკებისთვის გადახდილი გასამრჯელო და საკომისიო	(10)	–
უსაფრთხოება	(6)	–
დაზღვევა	(6)	–
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(158)	–
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(1,568)	–

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში კომპანიის აუდიტორისთვის გადახდილი საზღაური შეადგენდა 241 ლარს (დღგ-ის გარეშე).

19. ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები

ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის მოიცავდა შემდეგს:

	შენიშვნები	2024	2023
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა	10	(367)	–
ძირითადი საშუალებების ცვეთა	11	(47)	–
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	12	(42)	–
სულ ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები		(456)	–

20. გადასახადები

2024 წლის 1 იანვარს საქართველოში ამოქმედდა ახალი საგადასახადო რეჟიმი სადაზღვევო კომპანიებისთვის. 2024 წლიდან კომპანია დაექვემდებარა 0%-იან საგადასახადო განაკვეთს გაუნაწილებელ მოგებაზე, ხოლო მოგების გადასახადი ერიცხება მხოლოდ ფიზიკურ პირებზე დივიდენდების სახით განაწილებულ მოგებაზე. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით. დივიდენდების განაწილებაზე საგადასახადო ვალდებულებების ოდენობა გამოითვლება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით.

კომპანიის უფლება აქვთ, ჩაითვალოს 2015–2023 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით.

2024 წლის განმავლობაში დივიდენდები განაწილდა საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირზე. საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, აღიარებული გარიგება არ დაექვემდებარა დაბეგვრას.

(ათას ლარში)

21. საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი

კომპანიის წესდების თანახმად, ნებადართული სააქციო კაპიტალი შედგება A ტიპის, B ტიპისა და G ტიპის ჩვეულებრივი აქციებისგან, და გამოსყიდვადი პრივილეგირებული აქციებისგან. თითოეული ტიპის გამოშვება აქციონერების გადაწყვეტილებას ექვემდებარება.

- ▶ **A ტიპის აქციებს** აქვს სრული ხმის უფლება (ერთი ხმა ერთ აქციაზე);
- ▶ **B ტიპის აქციებს** არ აქვს ხმის უფლება და მათი დანიშნულება მხოლოდ და მხოლოდ კომპანიის ხელმძღვანელობისა და თანამშრომლების ანაზღაურებაა;
- ▶ **G ტიპის აქციებს** არ აქვს ხმის უფლება და შეიძლება გადაეცეს მხოლოდ მაკონტროლებელი წილის მფლობელებს. გარდა ამისა, G ტიპის აქციების მფლობელები სარგებლობენ თანაგაყიდვის უფლებით, რაც მათ საშუალებას აძლევს, მონაწილეობა მიიღონ მაკონტროლებელი წილის გაყიდვაში ეკვივალენტური პირობებით;
- ▶ **პრივილეგირებულ აქციებს** არ აქვს ხმის უფლება, არის გამოსყიდვადი აქციონერების სურვილისამებრ და მათზე გადაიხდება დივიდენდები აქციონერების სურვილისამებრ.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნებადართული და გამოშვებული აქციები გაუტოლდა 609–ს და მოიცავდა შემდეგს:

- ▶ A ტიპის აქციები: 293 აქცია;
- ▶ G ტიპის აქციები: 15 აქცია;
- ▶ პრივილეგირებული აქციები: 300 აქცია (ყველა აქციის ნომინალური ღირებულებაა 10 ლარი 1 აქციაზე).

მთლიანი სააქციო კაპიტალიდან (6,090 ლარის ნომინალური ღირებულება):

- ▶ 6,064 ლარი განადგებულია;
- ▶ 24 ლარი რჩება გაუნადგებელი აქციონერების მხრიდან.

პრივილეგირებული აქციები

2024 წლის განმავლობაში 300 გამოსყიდვადი პრივილეგირებული აქცია (10 ლარის ნომინალური ღირებულებით ერთ აქციაზე) იქნა გამოშვებული და სრულად შეძენილი მშობელი საწარმოს – სს „ა ჯგუფის“ მიერ კომპანიის სააქციო კაპიტალის გასაზრდელად. ეს აქციები კლასიფიცირებულია საკუთარ კაპიტალად.

საემისიო შემოსავალი

კომპანიის საემისიო შემოსავალი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგებოდა გამოშვებული აქციებიდან საემისიო შემოსავლისგან 24,727 ლარის ოდენობით და წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურების აღიარებისგან 523 ლარის ოდენობით (მე-16, მე-17 შენიშვნები).

დივიდენდები

2024 წელს კომპანიამ გამოაცხადა და გაანაწილა დივიდენდები თავისი ჩვეულებრივი აქციების მფლობელებზე 3,000 ლარის ოდენობით, რაც წარმოადგენდა 9.72 ლარს ერთ აქციაზე.

კაპიტალის მართვა

საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნებს საქართველოში აწესებს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნაა 7,200 ლარის ოდენობის მინიმალური კაპიტალის შენარჩუნება, რომლის 100% წარმოადგენილი უნდა იყოს ნაღდი ფულის ან საბანკო ანაზღაურების სახით. ბანკის დასტურის წერილი საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს ყოველთვიურად წარედგინება ზემოაღნიშნულ სავალდებულო მოთხოვნასთან შესაბამისობის დასამტკიცებლად. კომპანია რეგულარულად და უწყვეტად აკმაყოფილებს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნას მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის თაობაზე.

(ათას ლარში)

22. პირობითი ვალდებულებები

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, კომპანიას აქვს პირობითი ვალდებულებები თავისი დაზღვევისა და გადაზღვევის საქმიანობასთან დაკავშირებული სასამართლო დავებისა და მარეგულირებლის მხრიდან შემოწმებების გამო. კომპანიას შეიძლება ასევე წარმოეშვას პირობითი ვალდებულებები სადაზღვევო და არასადაზღვევო სასამართლო დავებთან დაკავშირებით, რაც შეუზღუდავად მოიცავს მარეგულირებლის პრეცედენტულ საქმეებს და კოლექტიურ სარჩელებს, გადასახადით დაბეგვრისა და კანონშესაბამისობის საკითხებს, რამაც შეიძლება შედეგად გამოიღოს საკანონმდებლო ან მარეგულირებელი ორგანოსგან ჯარიმები და ფინანსური ან არაფინანსური ზარალი ან სხვაგვარი გავლენები.

სასამართლოში საქმის წარმოება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია მონაწილეობდა ორ სასამართლო დავაში, რომლებმაც შეიძლება არსებით გავლენა იქონიოს მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებზე.

1) საქმე უკავშირდება სს „სადაზღვევო კომპანია ავტოგრაფის“ (ყოფილი სს „არდი დაზღვევის“) მიერ მუნიციპალური განვითარების ფონდის სასარგებლოდ ურეკში სარეაბილიტაციო პროექტებთან დაკავშირებით გაცემული საბანკო გარანტიების მოთხოვნებს.

მუნიციპალური განვითარების ფონდმა თავიდან სასამართლო მოიგო, მაგრამ გასაჩივრებისას მიღწეული იქნა ნაწილობრივი მორიგება, რომლითაც დაიფარა სკოლის პროექტი. 1,930 ლარზე დავა, რომელიც უკავშირდება ბულვარის პროექტს, გადაუჭრელი რჩება. მოდავე მხარემ ეჭვქვეშ დააყენა კომპანიის სახელწოდების ცვლილება და ამტკიცებდა, რომ ის უკავშირდებოდა ბიზნესის გაყოფას, რომლის მიზანი იყო ვალდებულებებისთვის თავის არიდება.

2025 წლის მარტში უზენაესმა სასამართლომ გააუქმა წინა სააპელაციო გადაწყვეტილება სამართალმემკვიდრეობის ფაქტის არსებობის საფუძველით, რეორგანიზაციის არასაკმარისი ანალიზის მოტივით და მემორანდუმისა და ნასყიდობის ხელშეკრულების შემდგომი განხილვის მოთხოვნით. საქმე განსახილველად თბილისის სააპელაციო სასამართლოში გადავიდა.

ხელმძღვანელობის აზრით, დავის მოგების მაღალი ალბათობა არსებობს, ამიტომ ანარიცხები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ უღიარებია.

2) სასამართლო დავა სს „სადაზღვევო კომპანია ავტოგრაფის“ და თავდაცვის სამინისტროდ, კლასიფიცირდა, როგორც „გასაიდუმლოებული საქმე“. 2025 წლის 6 თებერვალს მიიღო განჩინება, რომ სააპელაციო სასამართლომ არდიცა და ავტოგრაფიც ერთობლივად პასუხისმგებელ მხარეებად ცნო. კომპანიას არ მიუღია დეტალური ინფორმაცია საქმის გარემოებების შესახებ მისი გასაიდუმლოებული სტატუსის გამო. არდიმაც და ავტოგრაფმაც გაასაჩივრეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში, რომელმაც საბოლოოდ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი და გააუქმა სააპელაციოს გადაწყვეტილება სამართალმემკვიდრეობის ფაქტის არსებობის საფუძველით. საქმე ხელახლა განსახილველად თბილისის სააპელაციო სასამართლოს დაუბრუნდა.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ დადებითი გადაწყვეტილების მაღალი ალბათობა არსებობს, ამიტომ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ანარიცხები არ უღიარებია.

23. რისკისა და კაპიტალის მართვა

კომპანიის საქმიანობას ახასიათებს რამდენიმე რისკი. ამიტომ რისკის მართვა მისი სადაზღვევო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. რისკი კომპანიის საქმიანობისთვის გარდაუვალია, მაგრამ მათი მართვა ხდება მუდმივი იდენტიფიკაციით, შეფასებითა და ყოველდღიური მონიტორინგით, რისკების ლიმიტებისა და კონტროლის სხვა მექანიზმების გათვალისწინებით. კომპანიის შიგნით თითოეული პირი პასუხისმგებელია თავისი საქმიანობის სფეროში რისკების მართვაზე. კომპანიის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი ფინანსური რისკები უკავშირდება საკრედიტო საქმიანობას, ლიკვიდურობას და ბაზარზე საპროცენტო და სავალუტო კურსების თუ აქციების ფასების ცვალებადობას. ქვემოთ მოცემულია ამ რისკებთან მიმართებაში კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკის მოკლე აღწერა.

(ათას ლარში)

23. რისკისა და კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

მართვის ჩარჩო

კომპანიის რისკებისა და ფინანსური მართვის სისტემის მთავარი მიზანია მისი დაცვა ისეთი მოვლენებისგან, რომლებიც აზღვრავს კომპანიის საქმიანობის მიზნების მიღწევას და შესაძლებლობების გამოყენებას. კომპანია აღიარებს რისკების ეფექტური და ეფექტიანი მართვის სისტემის უდიდეს მნიშვნელობას.

კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მეთვალყურეობს და მართავს რისკებს დავალებების განაწილებით, სხვადასხვა სამუშაო ჯგუფის შექმნით და რისკის მართვის პოლიტიკის, ასევე შესაბამისი სახელმძღვანელო მითითებების ჩამოყალიბებით, მათი დანერგვისა და შესაბამისი დეპარტამენტების საქმიანობის კონტროლით.

ხელმძღვანელობა სისტემატურად იკრიბება პოლიტიკის ნებისმიერი კომერციული, ნორმატიული ან ორგანიზაციული მოთხოვნების დასამტკიცებლად. პოლიტიკა განსაზღვრავს კომპანიის მიერ რისკების განსაზღვრასა და განმარტებას, ლიმიტის სტრუქტურას, რათა უზრუნველყოს აქტივების სათანადო ხარისხი და დივერსიფიკაცია, ანდერაიტინგის სტრატეგიის შესაბამისობა კომპანიის მიზნებთან და ანგარიშგების მოთხოვნების დაზუსტება.

კაპიტალის მართვის მიზნები, პრინციპები და მეთოდი

კომპანიას განსაზღვრული აქვს კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პრინციპები და იმ რისკების მართვის მეთოდები, რომლებიც მისი კაპიტალის მდგომარეობაზე მოქმედებს.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- ▶ კომპანიის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით პოლისის მფლობელებისთვის გარკვეული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- ▶ კაპიტალის ეფექტურად გამოყოფა და საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა იმის უზრუნველყოფით, რომ გამოყენებულ კაპიტალზე უკუგება აკმაყოფილებდეს აქციონერთა მოთხოვნებს;
- ▶ ფინანსური მოქნილობის უზრუნველყოფა ლიკვიდურობის მაღალი დონის შენარჩუნებით;
- ▶ მტკიცე ფინანსური პოზიციის შენარჩუნება, საქმიანობის გაფართოების ხელშეწყობა და პოლისების მფლობელების, მარეგულირებელი ორგანოებისა და დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების დაკმაყოფილება.

კომპანიის საქმიანობა ასევე ექვემდებარება ადგილობრივ ნორმატიულ მოთხოვნებს იმ იურისდიქციის ფარგლებში, რომელშიც საქმიანობა უხდება. ასეთი ნორმატიული მოთხოვნები არა მხოლოდ განსაზღვრავს დამტკიცებისა და მონიტორინგის საქმიანობას, არამედ აწესებს შემზღუდველ ნორმებს, როგორცაა კაპიტალის საკმარისობის (ადეკვატურობის) მოთხოვნა, სადაზღვევო კომპანიების მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობისა და გადახდისუნარიანობის რისკის მინიმუმამდე დასაცვანად, რათა მათ შემოღონ გაუთვალისწინებელი ვალდებულებების დროულად შესრულება.

კომპანიის კაპიტალის მართვის პოლიტიკა თავისი სადაზღვევო საქმიანობისთვის გულისხმობს მინიმალური სავალდებულო საზედამხებდევლო კაპიტალის ქონას და ასევე, საკმარისი ლიკვიდური აქტივების ფლობას, რომ დააკმაყოფილოს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ნორმატიული მოთხოვნები. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ნორმატიული აქტების თანახმად, სადაზღვევო კომპანიას ევალება მთლიანი მისაღები პრემიებით შემცირებული თავისი გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის 75%-ის ოდენობისა და თავისი ზარალის რეზერვის 100%-ის ოდენობის ლიკვიდური აქტივების ფლობა. ლიკვიდურ აქტივებში შესატანი აქტივებია: ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ, გაცემული სესხები, საინვესტიციო ქონება და ასევე სხვა ფინანსური აქტივები, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის განმარტებების თანახმად. ასეთ მინიმალური ლიკვიდური აქტივების ოდენობას ეწოდება „სავალდებულო რეზერვი“.

სავალდებულო რეზერვის მოთხოვნა „არდი დაზღვევისთვის“ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უდრის ლიკვიდური აქტივების მინიმალურ ოდენობას 12,853 ლარის ოდენობით (2023 წლის 31 დეკემბერი: არა). 2024 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანია სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნას.

(ათას ლარში)

23. რისკისა და კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

მარეგულირებელი ორგანოს მოთხოვნები

საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნები საქართველოში მოქმედი სადაზღვევო კომპანიებისთვის დაწესებული საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ და ჯგუფის შიდა სადაზღვევო კომპანიებზე მხოლოდ ინდივიდუალურად ვრცელდება. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნით, სავალდებულოა მინიმალური საწესდებო კაპიტალის შენარჩუნება 7,200 ლარის ოდენობით სიცოცხლის დაზღვევისთვის, 7,200 ლარის ოდენობით სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევისთვის, თავდებობისა და საკრედიტო ვალდებულებების დაზღვევისთვის, 4,800 ლარის ოდენობით – არასიცოცხლის დაზღვევისთვის და 7,200 ლარის ოდენობით – გადაზღვევისთვის, რომლის 100% ბანკში ნაღდი ფულის ნაშთის ან საბანკო ანაზღაურების სახით უნდა განთავსდეს. ბანკის დასტურის წერილი საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს ყოველთვიურად წარედგინება ზემოაღნიშნულ სავალდებულო მოთხოვნასთან შესაბამისობის დასამტკიცებლად.

მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნის გარდა, სადაზღვევო კომპანიებს ასევე მოეთხოვებათ გარკვეული გადახდისუნარიანობის კოეფიციენტის შენარჩუნება, რომელიც გამოითვლება საზედამხედველო კაპიტალის გაყოფით გადახდისუნარიანობის სავალდებულო კაპიტალზე, და უნდა შეადგენდეს 100%-ზე მეტს. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური განსაზღვრავს აქტივების ტიპებს, რომლებიც შეიძლება მზღვეველმა გამოიყენოს საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საზედამხედველო კაპიტალი შეადგენდა 15,217 ლარს, ხოლო სავალდებულო გადახდისუნარიანობის კაპიტალი – 10,276 ლარს. საზედამხედველო კაპიტალი შეიცავს მთლიან საკუთარ კაპიტალს, რომელსაც აკლდება არამატერიალური აქტივები და გუდვილი, გადავადებული აკვიზიციური ხარჯები, გადავადებული საგადასახადო აქტივები, გაცემული არაუზრუნველყოფილი სესხები, უზრუნველყოფის სახით დაგირავებული აქტივები სხვა მხარეების სახელით, ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში 100 ლარზე მეტის ოდენობით, სხვა აქტივები, შვილობილ და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების 100%, საინვესტიციო ქონების 30% და გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივებისა და დაფარვის ვადამდე მფლობელობაში არსებული აქტივების 10%. ფასს–ის მიხედვით მიღებული შედეგები და რეზერვები გარკვეულწილად კორექტირდება საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მითითებების შესაბამისად.

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანია აკმაყოფილებდა საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნებს.

სადაზღვევო რისკი

სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული რისკი არის რისკი იმისა, რომ სადაზღვევო შემთხვევა დადგება, თანაც მისით გამოწვეული ზარალის ოდენობის და წარმოშობის დროის განსაზღვრა შეუძლებელია. კომპანიისთვის ასეთი ხელშეკრულებებით განპირობებული ძირითადი რისკი ისაა, რომ რეალურმა ზარალმა და გადახდილმა ანაზღაურებამ გადააჭარბოს სადაზღვევო ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას. ამაზე გავლენას ახდენს ზარალის სიხშირე, მასშტაბი, რეალურად გადახდილი ანაზღაურება, რომელიც მოსალოდნელზე მეტია და გრძელვადიანი მოთხოვნების შემდგომი ცვლილება.

სადაზღვევო რისკების მონიტორინგისთვის კომპანია ძირითადად იყენებს ზარალიანობისა და კომბინირებულ კოეფიციენტებს. ზარალიანობის კოეფიციენტი მიიღება წმინდა სადაზღვევო მოთხოვნების შეფარდებით წმინდა სადაზღვევო ამონაგებთან. კომბინირებული კოეფიციენტი წარმოადგენს ზარალიანობის და ხარჯების კოეფიციენტების ჯამს. ხარჯების კოეფიციენტი წარმოადგენს დაზღვევასთან დაკავშირებულ საოპერაციო ხარჯების, რასაც აკლდება საპროცენტო ხარჯი, შეფარდება წმინდა სადაზღვევო ამონაგებთან.

კომპანიის ზარალიანობისა და კომბინირებული კოეფიციენტები იყო:

	31 დეკემბერი, 2024 წ.
ზარალიანობის კოეფიციენტი	72%
ხარჯის კოეფიციენტი	18%
გაერთიანებული კოეფიციენტი	90%

(ათას ლარში)

23. რისკისა და კაპიტალის მართვა (გაგრძელება)**სადაზღვევო რისკი (გაგრძელება)**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია დაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულების კონცენტრაცია პროდუქტების მიხედვით:

	31 დეკემბერი, 2024 წ.
ჯანმრთელობის დაზღვევა	93.25%
ავტოდაზღვევა	2.86%
ქონების დაზღვევა	1.59%
მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობის ზოგადი დაზღვევა	0.04%
სხვა მიმართულებები	1.83%
მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა	0.43%
	100.00%

ფინანსური რისკი**საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა წარმოდგენილია შესაბამისი ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებით 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

იმ ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხი, რომლებიც არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული, სათანადოა და ხდება მათი მუდმივი მონიტორინგი საკრედიტო ხარისხში შესაძლო უარყოფითი ცვლილებების დროულად გამოსავლენად. ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია კომპანიის საკრედიტო რისკის მოცულობის შესახებ, ფინანსური აქტივების კლასიფიკაციით A.M. Best-ის, Moody's-ის, S&P Global-ისა და Fitch-ს მიერ მინიჭებული გარე რეიტინგების მიხედვით.

31 დეკემბერი, 2024 წ.	შენიშვნები	სტადია	BB	BB-	B+	B	რეიტინგის გარეშე	სულ
საბანკო ანაზღაურებები	7	1-ელი სტადია	10,964	–	1,588	7,010	–	19,562
გაცემული სესხები – არა ვადაგადაცილებუ ლი	9	1-ელი სტადია	–	–	–	–	3,091	3,091

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს იმას, რომ კომპანიამ ვერ შეძლოს ნორმალურ ან სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი თავისი ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვა. ამ რისკის შეზღუდვის მიზნით, ხელმძღვანელობა თავისი კაპიტალის გარდა იყენებს დაფინანსების დივერსიფიცირებულ წყაროებს, მართავს აქტივებს ლიკვიდურობის გათვალისწინებით და რეგულარულ ზედამხედველობას უწევს მომავალ ფულად ნაკადებს და ლიკვიდურობას. ეს მოიცავს მოსალოდნელი ფულადი ნაკადებისა და ლიკვიდურობის საჭიროების ყოველდღიურ მონიტორინგს.

კომპანია მართავს თავისი აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობას მათი უკეთესად დაბალანსებისთვის, რაც მას ეხმარება ლიკვიდურობის რისკის კიდევ უფრო შემცირებაში. კომპანიის წინაშე მდგარი ყველაზე დიდი ლიკვიდურობის რისკები არის მისი ხელმისაწვდომი ფულადი რესურსების ყოველდღიური საჭიროება მომწოდებლებთან გაფორმებული კონტრაქტების, სადაზღვევო ხელშეკრულებების საფუძველზე წამოყენებული მოთხოვნებისა და ნასესხები სახსრების დაფარვის ვადის მოსვლის გამო.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური და სადაზღვევო აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი. აქტივები და ვალდებულებები დაჯგუფებულია შესაბამისი ვადიანობის მიხედვით, საანგარიშგებო თარიღისთვის ხელშეკრულების ამოწურვის ან დაფარვის მოსალოდნელ თარიღამდე დარჩენილი ვადის შესაბამისად.

(ათას ლარში)

23. რისკისა და კაპიტალის მართვა (გაგრძელება)**ფინანსური რისკი (გაგრძელება)**

31 დეკემბერი, 2024 წ.	ერთი წლის განმავლობაში	ერთ წელზე მეტ ვადაში	სულ
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8,483	–	8,483
საბანკო ანაზღაურებები	11,757	7,805	19,562
სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივი	–	–	–
გადაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივი	1,074	–	1,074
გაცემული სესხები	–	3,091	3,091
სხვა აქტივები	650	46	696
მთლიანი აქტივები	21,964	10,942	32,906
ვალდებულებები			
სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება	12,234	–	12,234
გადაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება	1,167	–	1,167
სხვა ვალდებულებები	1,759	–	1,759
საიჯარო ვალდებულებები	563	444	1,007
მთლიანი ვალდებულებები	15,723	444	16,167
ნეტო პოზიცია	6,241	10,498	16,739
აკუმულირებული გეპი	6,241	16,739	16,739

სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ოდენობები და ვადები განისაზღვრება ხელმძღვანელობის განსჯის საფუძველზე, რომელიც ეყრდნობა სტატისტიკურ მეთოდებსა და წარსულ გამოცდილებას. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიის ლიკვიდურობის არსებული დონე საკმარისია ყველა მისი მიმდინარე ვალდებულების შესასრულებლად და დავალიანების დროულად დასაფარად.

კომპანია ასევე აბალანსებს ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ვადებს და უარყოფით გეპებზე მაქსიმალურ ლიმიტს აწესებს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული გადახდების მიხედვით. დაფარვები, რომლებიც ექვემდებარება შეტყობინებას, აღრიცხულია იმგვარად, თითქოს შეტყობინება დაუყოვნებლივ მოხდა.

31 დეკემბერი, 2024 წ.	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სხვა ვალდებულებები	1,358	401	–	–	1,759
საიჯარო ვალდებულებები	117	446	444	–	1,007
სულ არადისკონტირებული ვალდებულებები	1,475	847	444	–	2,766

საბაზრო რისკი

კომპანიას ახასიათებს საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ცვლილების შედეგად, რასაც იწვევს სავალუტო კურსის (სავალუტო რისკი), საბაზრო საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო განაკვეთის რისკი) და საბაზრო ფასების (საფასო რისკი) მერყეობა, იმის მიუხედავად ფასებში ასეთი ცვლილებები გამოწვეულია ცალკეული ინსტრუმენტისთვის ან მისი ემიტენტისთვის დამახასიათებელი ფაქტორებით თუ ბაზარზე მიმოქცევაში არსებულ ყველა ინსტრუმენტზე მოქმედი ფაქტორებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, თუ საპროცენტო განაკვეთების ცვლილებები გავლენას მოახდენს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებაზე ან ფინანსური ინსტრუმენტების მომავალ ფულადი სახსრების ნაკადზე. კომპანიას არ აქვს ცვალებადი განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების არსებითი ნაშთები და ამიტომ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მას არ აქვს საპროცენტო განაკვეთის რისკი.

(ათას ლარში)

23. რისკისა და კაპიტალის მართვა (გაგრძელება)**საბაზრო რისკი (გაგრძელება)****სავალუტო რისკი**

კომპანიის აქტივები და ვალდებულებები გამოხატულია ერთზე მეტ ვალუტაში. კომპანიას აქვს აშშ დოლარსა და ევროში გამოხატული აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის სავალუტო რისკები ასე გამოიყურება:

31 დეკემბერი, 2024 წ.	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5,641	2,814	28	8,483
საბანკო ანაზღაური	19,562	–	–	19,562
გაცემული სესხები	3,091	–	–	3,091
გადაზღვევის ხელშეკრულებით				
გათვალისწინებული აქტივი	610	464	–	1,074
მთლიანი აქტივები	28,294	2,814	28	31,136
ვალდებულებები				
სადაზღვევო ხელშეკრულებით				
გათვალისწინებული ვალდებულება	16,681	(3,825)	(622)	12,234
გადაზღვევის ხელშეკრულებით				
გათვალისწინებული ვალდებულება	95	1,072	–	1,167
სხვა ვალდებულებები	1,270	399	90	1,759
საიჯარო ვალდებულებები	–	1,007	–	1,007
მთლიანი ვალდებულებები	18,046	(1,347)	(532)	16,167
ნეტო პოზიცია	10,248	4,161	560	14,969
სავალუტო კურსის პროცენტული ზრდა		15%	15%	
გავლენა მოგებაზე		624	84	
სავალუტო კურსის პროცენტული შემცირება		–15%	–15%	
გავლენა მოგებაზე		(624)	(84)	

24. სამართლიანი ღირებულების შეფასება**სამართლიანი ღირებულების იერარქია**

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, კომპანიამ განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების მიხედვით. კომპანია შემდეგ იერარქიას იყენებს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისა და აღრიცხვისთვის:

- ▶ დონე 1: ანალოგიური აქტივებისა და ვალდებულებების კოტირებული (არაკორექტირებული) ფასები მოქმედ ბაზარზე;
- ▶ დონე 2: მეთოდი, რომლისთვისაც გამოყენებული ყველა ამოსავალი მონაცემი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აღრიცხულ სამართლიან ღირებულებაზე, არის პირდაპირ ან არაპირდაპირ განსაზღვრადი; და
- ▶ დონე 3: მეთოდი, რომლის დროსაც გამოიყენება ამოსავალი მონაცემები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ აღრიცხულ სამართლიან ღირებულებაზე და არ ეყრდნობიან ემპირიულ საბაზრო მონაცემებს.

ქვედა ცხრილში მოცემულია იმ აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი, რომელთა სამართლიანი ღირებულებებიც მოცემულია

(ათას ლარში)

24. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების იერარქია

სამართლიანი ღირებულებების იერარქიაში მათი დონის მიხედვით.

	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ 2024
აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზე განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8,483	–	–	8,483
საბანკო ანაზრები	–	19,562	–	19,562
გაცემული სესხი	–	–	3,091	3,091
სხვა აქტივები	696	–	–	696
ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზე განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი				
სხვა ვალდებულებები	–	1,759	–	1,759

ქვემოთ აღწერილია ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა. კომპანიამ გამოიყენა ის დაშვებები, რომლებსაც, მისი აზრით, დაეყრდნობიან ბაზრის მონაწილეები ინსტრუმენტის შეფასების დროს.

აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას

როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას. ეს დაშვება ეხება ცვლადი განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებსაც.

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთსა და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად.

25. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. დაკავშირებული მხარეების ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

(ათას ლარში)

25. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების მოცულობა, წლის ბოლოსთვის დაუფარავი ნაშთები და შესაბამისი ხარჯი და შემოსავალი პერიოდის განმავლობაში ასეთია:

31 დეკემბერი, 2024 წ.			
	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	სხვა
აქტივები			
სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივი	–	233	14
გადაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივი	–	2,334	–
სხვა აქტივები	–	8	–
მთლიანი აქტივები	–	2,575	14
ვალდებულებები			
სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება	–	625	44
გადაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება	–	2,572	–
სხვა ვალდებულებები	317	–	–
მთლიანი ვალდებულებები	317	3,197	44
შემოსავალი და ხარჯები			
	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	სხვა
სადაზღვევო ამონაგები	–	46	(1)
სადაზღვევო მომსახურების ხარჯი	–	(1,347)	–
დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებისთვის	–	–	–
გადამზღვევებისგან ანაზღაურებადი თანხები	–	301	–
ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები	(1,378)	–	–
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	–	(4)	–
წმინდა სხვა საოპერაციო ხარჯები	–	144	–
საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა	–	2	–
სულ შემოსავალი და ხარჯები	(1,378)	(858)	(1)

კომპანიის გადაზღვევის ოპერაციები მოიცავს ოპერაციებს როგორც საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებთან, ისე მესამე მხარეებთან. ეს ოპერაციები წარმოდგენილია ნეტო საფუძველზე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ან გადაზღვევის ხელშეკრულების აქტივები ან გადაზღვევის ხელშეკრულების ვალდებულება, სადაზღვევო ხელშეკრულებების თითოეული ჯგუფისთვის (ჯანმრთელობის, ავტო და ა.შ.) შესაბამისად, გადაზღვევის ხელშეკრულების აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც უკავშირდება საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებთან გარიგებებს, შეიძლება უფრო მაღალი იყოს, ვიდრე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხები.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები და ნაშთები არ დაფიქსირებულია.

სადაზღვევო ხელშეკრულებები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წესი, ერთი წლით ფორმდება. მოთხოვნების დარეგულირება, ჩვეულებრივ, 90 დღის განმავლობაში ხდება.

(ათას ლარში)

25. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები (გაგრძელება)

სხვა ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მოიცავდა მშობელი საწარმოსთვის გამოშვებულ აქციებს და გადახდილ დივიდენდებს, რაც 21-ე შენიშვნაშია წარმოდგენილი. უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება ასე გამოიყურება:

	2024	2023
ხელფასები და პრემიები	855	–
აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურება	523	–
სულ ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება	1,378	–

26. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2025 წლის 24 მარტს კომპანიამ გამოაცხადა და გაანაწილა 1,500 ლარის დივიდენდები (დივიდენდი ერთ აქციაზე იყო 4.86 ლარი), რომელიც გადახდილი იქნა ფულადი სახსრებით.

სს არდი დაზღვევის

ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება

2024

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

სს „არდი დაზღვევის“ აქციონერებსა და სამეთვალყურეო საბჭოს

ჩვენ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2025 წლის 14 აპრილს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩავვითარებთ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



დმიტრო იურგელევიჩი (SARAS-A-644274)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

24 სექტემბერი, 2025 წ.

თბილისი, საქართველო

სარჩევი

1. საქმიანობის მიმოხილვა.....	3
კომპანიის შესახებ	3
კომპანიის საქმიანობის სფერო.....	3
სუბიექტის განვითარების გეგმები.....	4
სადაზღვევო ბაზრის მიმოხილვა.....	4
კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა.....	6
საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები	6
ძირითადი რისკები და მათი ანალიზი	8
სადაზღვევო რისკი	8
კაპიტალის მდგომარეობასთან დაკავშირებული რისკები	9
მარეგულირებელი ორგანოს მოთხოვნებთან დაკავშირებული რისკები	9
სხვა რისკები	10
2. არაფინანსური ანგარიშგება.....	11
არაფინანსური საკითხები	11
სუბიექტის ბიზნესმოდელის მიმოხილვა.....	12
სუბიექტის საქმიანობის რისკების ანალიზი	12
საქმიანობის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები.....	13
კორუფციის რისკები და პოლიტიკა	13

1. საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის შესახებ

სს „არდი დაზღვევა“ (შემდგომში „კომპანია“), საინდენტიფიკაციო ნომრით 405662242, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად 2023 წლის 3 დეკემბერს დაფუძნდა. იგი მალევე შეისყიდა Georgian Health Group-მა (GHG). მოგვიანებით, 2024 წელს ბიზნესის შეძენის ხელშეკრულების თანახმად, 2024 წლის 1 მაისს, კომპანიამ შეიძინა სადაზღვევო პორტფელის ნაწილი, გარკვეული უფლებებით, ვალდებულებებითა და ბრენდით, სს „სადაზღვევო კომპანია ავტოგრაფისგან“.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის აქციების 95%-ს ფლობს სს „ა ჯგუფი“ (შემდგომში „მშობელი საწარმო“), რომლის საბოლოო მფლობელია დიდ ბრიტანეთში დაფუძნებული და ლონდონის საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს კაპიტალი“, ხოლო დანარჩენ 5%-ს ფლობს „პრობუს კაპიტალი“. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის აქციების 100%-ს ფლობდა სს „სადაზღვევო კომპანია ავტოგრაფი“, რომლის საბოლოო მფლობელები იყვნენ შპს „გაზელ ფაინენს ჯორჯია“, არმაზ თავაძე, ზაზა ნიშნიანიძე და სხვა უმცირესობის წილის მფლობელები.

კომპანიის მმართველი ორგანო არის სამეთვალყურეო საბჭო. კომპანიას უძღვებიან: გენერალური დირექტორი, ფინანსური დირექტორი, ბიზნესის განვითარების დირექტორი და საოპერაციო დირექტორი.

კომპანიის სათავო ოფისი მდებარეობს თბილისში, ხოლო დამატებითი სერვისცენტრები თბილისსა და რეგიონებში. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. #3.

კომპანიის საქმიანობის სფერო

კომპანია ფლობს როგორც სიცოცხლის, ისე არასიცოცხლის დაზღვევის მომსახურების საქართველოში განვითარების საჭირო ლიცენზიას. არდი მომხმარებლებს სთავაზობს შემდეგ სადაზღვევო პროდუქტებს:

- სიცოცხლის დაზღვევა
- სამოგზაურო დაზღვევა
- უბედური შემთხვევის დაზღვევა
- სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევა
- სახმელეთო სატრანსპორტო საშუალების დაზღვევა:
- სახმელეთო სატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა
- სახმელეთო გადამზიდველის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა
- არა სახმელეთო სატრანსპორტო საშუალების დაზღვევა
- ტვირთის დაზღვევა
- ქონების დაზღვევა
- სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა

სუბიექტის განვითარების გეგმები

კომპანია განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა და 2025 წელი კომპანიისთვის ციფრული ტრანსფორმაციისა და ბრენდის განახლების წლად გამოაცხადა. ბრენდის სწრაფ განვითარებას ხელი შეუწყო გასული წლის გარიგებამ, რომლის ფარგლებშიც ყველაზე მსხვილი ქართული საინვესტიციო კომპანია Georgia Capital PLC "არდის" ინსტიტუციური ინვესტორი გახდა.

სტრატეგიული გარდაქმნა ხანგრძლივ ვადაზე განერილი პროცესია, რომელიც მიზნად "არდის" მომხმარებლებისთვის ყოველდღიურობის გამარტივებას ისახავს. ამ ხედვიდან გამომდინარეობს ბრენდის მთავარი მიზანი: გახდეს კომპანია, რომელიც შფოთვისგან გათავისუფლებულ ადამიანს ცხოვრების ახალ გზებს უჩვენებს. ახალი სლოგანი – „ცხოვრების ჯერია“, განასახიერებს ბრენდის სწორედ ამ, განახლებულ მიდგომას.

რებრენდინგის ფარგლებში, ახალ იდენტობასთან ერთად, "არდი" განახლებული აპლიკაცია წარადგენს, სადაც თავმოყრილია სრულყოფილი სერვისები, 24-საათიანი მხარდაჭერა და პერსონალიზებული გამოცდილება.

კომპანია აქტიურად ახორციელებს მწვანე დაზღვევის პოლიტიკას, რომელიც მოიცავს სრულად ციფრულ დაზღვევის ბარათებზე გადასვლას #SayNoToPlastic კამპანიის ფარგლებში, რაც პლასტიკური ბარათების გამოყენების შემცირებას იწვევს. ეს ინიციატივა ემთხვევა კომპანიის კორპორატიული მდგრადობის ვალდებულებებს და მის როლს გაეროს გლობალური პაქტის წევრობაში.

კომპანიის სამედიცინო დაზღვევის პაკეტი ფართოდ მოიცავს პრევენციულ ჯანდაცვის მომსახურებებს. დამატებითი სარგებელი არდი დაზღვევის მომხმარებლებისთვის მოიცავს ჯანმრთელობის გაუმჯობესებას უწყვეტი აქტივობებით, როგორიცაა საცურაო აუზი, მასაჟი, ვარჯიშის სესიები, ასევე ფასდაკლებები კურორტებში.

სპეციალიზებული დაზღვევის პაკეტი, რომელიც განკუთვნილია დაბალი შემოსავლების მქონე ჯგუფებისთვის, უზრუნველყოფს ხელმისაწვდომობას და ასახავს ARDI-ის ერთგულებას ჯანმრთელობის თანასწორობის მიმართ.

უზრუნველყოფს თავის სადაზღვევო სერვისებზე გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობას ქვეყნის მასშტაბით და გეგმავს შემდგომ გაფართოებას პორტფელის ზრდასთან ერთად.

კომპანია მუდმივად უზრუნველყოფს კორპორატიული მმართველობის გაძლიერებას: პროცესების სისტემატიზაცია, შეფასების ახალი სისტემების დანერგვა, შიდა აუდიტის ფუნქციის გაზრდა.

სადაზღვევო ბაზრის მიმოხილვა


2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოში რეგისტრირებული იყო სულ 19 სადაზღვევო კომპანია. კომპანია არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „სავალდებულო დაზღვევის ცენტრის“ (შემდგომში „ცენტრი“) წევრი. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აქვს 5.26%-იანი (2023 წლის 31 დეკემბერი: 0%) წილი ცენტრში, რომლის მეშვეობითაც იგი მონაწილეობს უცხოურ ქვეყნებში დარეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მძღოლების სამოქალაქო პასუხისმგებლობის ერთობლივ

დაზღვევაში და შესაბამის აქტივებს, ვალდებულებებს, შემოსავალს და ხარჯებს აღიარებს ცენტრში თავისი წილის საფუძველზე.

2024 წლის განმავლობაში მოზიდულმა სადაზღვევო პრემიამ პირდაპირი დაზღვევის საქმიანობიდან შეადგინა 1 259 მილიონი ლარი. ამავე პერიოდის შედეგებით მზღვეველების სადაზღვევო მოგებამ შეადგინა 307 მილიონი ლარი, წმინდა მოგებამ კი 127 მილიონი ლარი.

სადაზღვევო კომპანიების აქტივების ჯამური მოცულობა შეადგენს 1 446 მილიონ ლარს, ხოლო კაპიტალი 459 მილიონ ლარს.

ბაზრის კომპოზიცია პროდუქტებად წლის განმავლობაში მოზიდული პრემიების მიხედვით და არდი დაზღვევის წილი თითოეულ პროდუქტში შემდეგნაირია (ბაზრის წილი მოცემულია ათას ლარებში, ხოლო არდის პროცენტული წილი პროცენტებში):



2024 წელს კომპანიის წმინდა სადაზღვევო ამონაგები 59.6 მლნ ლარია (2023: 0). წმინდა სადაზღვევო ამონაგები წარმოადგენს სადაზღვევო ამონაგებისა და გადაზღვევის პრემიების განაწილების სხვაობას.


კომპანია სხვადასხვა ტიპის სადისტრიბუციო არხებით უკავშირდება საცალო და კორპორატიულ კლიენტებს. 2024 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის გაყიდვების ქსელი შედგებოდა 141 გაყიდვების აგენტისა და 26 ბროკერისგან, ასევე, კომპანია თანამშრომლობს ტურისტულ სააგენტოსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან. გაყიდვების არხების მრავალფეროვნება ხელს უწყობს კომპანიის საცალო და კორპორატიულ კლიენტთა რაოდენობის გაზრდას.

საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე მოქმედი სადაზღვევო კომპანიების მიხედვით მოქმედი და წლის განმავლობაში გაფორმებული პოლისების რაოდენობა მოცემულია ქვემოთ მოცემული ცხრილის სახით 2024 წლის 31 დეკემბრისთვის (რიცხვები მოცემულია ათას ლარში).


ქართული სადაზღვევო ბაზარი მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროკავშირისა და დსთ-ის წევრი მეზობელი სახელმწიფოების სადაზღვევო ბაზარს. საქართველოს სადაზღვევო ბაზრის პენეტრაციის კოეფიციენტი (სადაზღვევო ბაზარზე მოზიდული მთლიანი პრემიების წილი მთლიან ნომინალურ შიდა პროდუქტში), რომელიც ბაზრის განვითარების დონის მაჩვენებელია, მხოლოდ 1.4%-ია (2023-ში 1.3%), მაშინ, როდესაც მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელი 7%-ია.

სადაზღვევო ბაზრის სტრუქტურა დაზღვევის სახეობების მიხედვით 2024 წლის მონაცემებით (პირდაპირი დაზღვევის საქმიანობა) წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ბაზრის მოზიდული პრემია*



სადაზღვევო ბაზრის სტრუქტურა სადაზღვევო კომპანიების მიხედვით 2024 წლის მონაცემებით (პირდაპირი დაზღვევის საქმიანობა) წარმოდგენილია შემდეგი სახით:



*მოზიდული სტატისტიკური პრემია

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

კომპანია 2024 წლის ბაზრის კვლევების მიზნით სარგებლობდა, როგორც საზედამხებელო ოფიციალური მონაცემებით, ასევე საკვლევ-საკონსულტაციო კომპანიების სერვისებით.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე პასუხისმგებელია ფინანსური დეპარტამენტი. კერძოდ, რეპორტირების სამსახურის მიერ ხდება კომპანიის ყოველთვიური

ბუღალტრული ინფორმაციის დამუშავება, IFRS სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა და საბოლოოდ ფინანსური ანგარიშგების მომზადება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხდება ყველა მატერიალური ტრანზაქციის განხილვა, დეტალური ინფორმაციის მოძიება და შეცდომების რისკის შემცირება.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების წლიური განვითარება მოცემულია დიაგრამებზე ქვემოთ ათას ლარებში:

	2024
სადაზღვევო ამონაგები	61,761
სადაზღვევო მომსახურების ხარჯი	(47,940)
განუღმლი სდზღვევო მომსახურების შედეგი, ფლობილ გადაზღვევის ხელშეკრულებამდე	13,821
გადაზღვევის პრემიის განაწილება	(1,994)
დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებისთვის გადაზღვევებისგან ანაზღაურებადი თანხები	877
წმინდა ხარჯი ფლობილ გადაზღვევის ხელშეკრულებებისგან	(1,117)
განუღმლი სადაზღვევო მომსახურების შედეგი	12,704

კომპანიისთვის მნიშვნელოვან მაჩვენებლებს წრმოადგენს შემდეგი ფინანსური კოეფიციენტები:



მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა 2024 წელს კომპანიისთვის. "არდი", რომელიც ადგილობრივ ბაზარზე 15 წელია ოპერირებს, განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა. ყველაზე მსხვილი ქართული საინვესტიციო კომპანია Georgia Capital PLC "არდის" ინსტიტუციური ინვესტორი გახდა. ცვლილების შემდეგაც კომპანია თავის ნიშას და სეგმენტს არ უღალატებს და ამ მიმართულებით ოპერირებას და განვითარებას გააგრძელებს. კომპანიას განვითარების რესურსი უფრო მეტი ექნება და ტექნოლოგიები არსებითად დაიხვეწება, რაც მომხმარებლებისთვის სერვისის მიღებას გაამარტივებს და დააჩქარებს.

კომპანიამ სტრატეგიული პარტნიორობა დაიწყო თურქეთის ერთ-ერთი წამყვან ჯანდაცვის პროვაიდერთან Liv Hospital Group. თანამშრომლობის მიზანია არდის დაზღვეულთათვის ჯანდაცვის სერვისების ხარისხის გაუმჯობესება და საერთაშორისო დონეზე, კერძოდ, თურქეთში, სამედიცინო სერვისებზე წვდომის გაფართოება.

„არდიანა“ — არდის ციფრული AI ასისტენტი — განახლდა და პირველად საქართველოში შესაძლებლობას გაძლევს, სამოგზაურო დაზღვევა მესენჯერში ან ვებგვერდის ჩათში, სულ რაღაც ერთ წუთში გააფორმო.

ARDI აქტიურად არის ჩართული კლიმატური რისკების შესახებ ცნობიერების ამაღლებაში — იგი თავის კლიენტებს განათლებას აძლევს კლიმატის ცვლილების შედეგებზე და სთავაზობს პრაქტიკულ გზებს რისკების შემცირებისათვის. ARDI განსაკუთრებით უსვამს ხაზს მდგრად პრაქტიკებს და შემუშავებული აქვს ინოვაციური გადაწყვეტილებები, რომლებიც კლიენტებს ეკო-მეგობრულ ინიციატივებში ჩართვისკენ უწყობს ხელს.


ძირითადი რისკები და მათი ანალიზი

კომპანიის საქმიანობას ახასიათებს რამდენიმე რისკი. ამიტომ რისკის მართვა მისი სადაზღვევო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. რისკი კომპანიის საქმიანობისთვის გარდაუვალია, მაგრამ მათი მართვა ხდება მუდმივი იდენტიფიკაციით, შეფასებითა და ყოველდღიური მონიტორინგით, რისკების ლიმიტებისა და კონტროლის სხვა მექანიზმების გათვალისწინებით. კომპანიის შიგნით თითოეული პირი პასუხისმგებელია თავისი საქმიანობის სფეროში რისკების მართვაზე. კომპანიის საქმიანობისთვის დამახასიათებელი რისკები უკავშირდება კაპიტალის მდგომარეობას, სადაზღვევო, მარეგულირებლის მოთხოვნებს, საკრედიტო საქმიანობას, ლიკვიდურობას და ბაზარზე საპროცენტო და სავალუტო კურსების თუ აქციების ფასების ცვალებადობას.

კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მეთვალყურეობს და მართავს რისკებს დავალებების განაწილებით, სხვადასხვა სამუშაო ჯგუფის შექმნით და რისკის მართვის პოლიტიკის, ასევე შესაბამისი სახელმძღვანელო მითითებების ჩამოყალიბებით, მათი დანერგვისა და შესაბამისი დეპარტამენტების საქმიანობის კონტროლით. ხელმძღვანელობა სისტემატურად იკრიბება პოლიტიკის ნებისმიერი კომერციული, ნორმატიული ან ორგანიზაციული მოთხოვნების დასამტკიცებლად. პოლიტიკა განსაზღვრავს კომპანიის მიერ რისკების განსაზღვრასა და განმარტებას, ლიმიტის სტრუქტურას, რათა უზრუნველყოს აქტივების სათანადო ხარისხი და დივერსიფიკაცია, ანდერაიტინგის სტრატეგიის შესაბამისობა კომპანიის მიზნებთან და ანგარიშგების მოთხოვნების დაზუსტება.


სადაზღვევო რისკი

სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული რისკი არის რისკი იმისა, რომ სადაზღვევო შემთხვევა დადგება, თანაც მისით გამოწვეული ზარალის ოდენობის და წარმოშობის დროის განსაზღვრა შეუძლებელია. კომპანიისთვის ასეთი ხელშეკრულებებით განპირობებული ძირითადი რისკი ისაა, რომ რეალურმა ზარალმა და გადახდილმა ანაზღაურებამ გადააჭარბოს სადაზღვევო ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას. ამაზე გავლენას ახდენს ზარალის სიხშირე, მასშტაბი, რეალურად გადახდილი ანაზღაურება, რომელიც მოსალოდნელზე მეტია და გრძელვადიანი მოთხოვნების შემდგომი ცვლილება. სადაზღვევო რისკების მონიტორინგისთვის კომპანია ძირითადად იყენებს ზარალიანობისა და კომბინირებულ კოეფიციენტებს. ზარალიანობის კოეფიციენტი მიიღება წმინდა დამდგარი ზარალის შეფარდებით წმინდა სადაზღვევო ამონაგებთან. კომბინირებული კოეფიციენტი წარმოადგენს ზარალიანობის და ხარჯების კოეფიციენტების ჯამს. ხარჯების კოეფიციენტი წარმოადგენს დაზღვევასთან დაკავშირებულ საოპერაციო ხარჯების, რასაც აკლდება საპროცენტო ხარჯი, შეფარდება წმინდა სადაზღვევო ამონაგებთან.



ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია დაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების კონცენტრაცია პროდუქტების მიხედვით:

სადაზღვევო ვალდებულებების კონცენტრაცია



კაპიტალის მდგომარეობასთან დაკავშირებული რისკები

კომპანიის საქმიანობა ექვემდებარება ადგილობრივ ნორმატიულ მოთხოვნებს იმ იურისდიქციის ფარგლებში, რომელშიც საქმიანობა უხდება. ასეთი ნორმატიული მოთხოვნები არა მხოლოდ განსაზღვრავს დამტკიცებისა და მონიტორინგის საქმიანობას, არამედ აწესებს შემზღუდველ ნორმებს, როგორიცაა კაპიტალის საკმარისობის (ადეკვატურობის) მოთხოვნა, სადაზღვევო კომპანიების მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობისა და გადახდისუნარიობის რისკის მინიმუმამდე დასაყვანად, რათა მათ შეძლონ გათვალისწინებული ვალდებულებების დროულად შესრულება.

კომპანიის კაპიტალის მართვის პოლიტიკა თავისი სადაზღვევო საქმიანობისთვის გულისხმობს მინიმალური სავალდებულო საზედამხებდველო კაპიტალის ქონას და ასევე, საკმარისი ლიკვიდური აქტივების ფლობას, რომ დააკმაყოფილოს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ნორმატიული მოთხოვნები.

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ნორმატიული აქტების თანახმად, სადაზღვევო კომპანიას ევალება მთლიანი მისაღები პრემიებით შემცირებული თავისი გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის 75%-ის ოდენობისა და თავისი ზარალის რეზერვის 100%-ის ოდენობის ლიკვიდური აქტივების ფლობა.

მახეგვლიხებელი ოჩგანოს მოთხოვნებთან დაკავშირებული რისკები

კომპანია რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და აქვს ყოველთვიური სავალდებულო საზედამხებდველო კაპიტალის მოთხოვნა. ამ რეგულაციის მიხედვით, კომპანია

ვალდებულია იქონიოს გარკვეული რეზერვები როგორც ფინანსური, ისე არაფინანსური რისკისთვის. მთლიანი სავალდებულო რეზერვიდან, კომპანიის ხელმძღვანელობა შიდა წესით 10%-ს ანაწილებს არაფინანსურ რისკებზე და იყენებს კაპიტალის ხარჯის მიდგომას არაფინანსური რისკის აღრიცხვისადმი. რისკის მიხედვით დაკორექტირებული ვალდებულების ოდენობა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 240 ლარი იყო, რომელიც შეფასდა 20%-იანი კაპიტალის ხარჯის გამოყენებით.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საზედამხედველო კაპიტალი შეადგენდა 15,217 ლარს, ხოლო სავალდებულო გადახდისუნარიანობის კაპიტალი – 10,276 ლარს. სავალდებულო რეზერვის მოთხოვნა „არდი დაზღვევისთვის“ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უდრის ლიკვიდური აქტივების მინიმალურ ოდენობას 12,853 ლარის ოდენობით (2023 წლის 31 დეკემბერი: არა). 2024 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანია სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნას. 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანია აკმაყოფილებდა საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნებს.

სხვა რისკები

ძირითადი რისკების გარდა კომპანიას აქვს სხვა მიკრო და მაკრო დონეზე მოქმედი ფაქტორებისგან გამომწვეული რისკები:

ლიკვიდობა და სავალდებულო რისკები

- კომპანია მართავს ლიკვიდურობის რისკს მოსალოდნელი გადახდის ვადების საფუძველზე. ამჟამად კომპანია თვლის, რომ გადაიხდის ყველა ვალდებულებას საკონტრაქტო ვადაში. ყველა საგარანტიო კონტრაქტები არის სათანადოდ უზრუნველყოფილი.
- უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები იწვევენ სავალუტო რისკს. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა ინფორმირებულია ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და შესაბამის ნაბიჯებს დგამენ სავალუტო რისკის შესამცირებლად;

ეკონომიკური რისკები

- საქართველოში მომხმარებელთა მსყიდველობითი უნარი ევროკავშირის საშუალო მშპ-სთან შედარებით დაბალია, რაც ზღუდავს ARDI-ის სრულფასოვანი პროდუქტების გაფართოების შესაძლებლობას.
- გარდა ამისა, უცხოური ვალუტის (FX) კურსის მერყეობა იწვევს არასტაბილურობას ჯანდაცვის მომსახურების ფასებში, რაც ფინანსურ პროგნოზირებას კიდევ უფრო ართულებს;

ხეგუდაციები და სამთავრობო პოლიტიკა

- მუდმივი ცვლილებები მთავრობის რეგულაციებში აფერხებს ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურებებისთვის ხარჯების ეფექტიან დაგეგმვას. გაუთვალისწინებელი რეგულაციური ცვლილებები ართულებს გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავებას და ოპერაციულ ბიუჯეტირებას. ასევე არსებობს რისკი, რომ მთავრობამ დააწესოს

პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც დაზღვევით კომპანიებს მოუწევთ „დაუზღვეველთა“ პოლისების შენარჩუნება, რისი ხარჯებიც შესაძლოა ვერ გადაეცეს დაზღვეულებს.

გახელოში ცვლილებებთან დაკავშირებული რისკები

- სამედიცინო დაზღვევის მოთხოვნების ზრდა შესაძლოა გამოწვეული იყოს როგორც გარემოში მიმდინარე მოკლევადიანი მოვლენებით (წყალდიდობა, მეწყერი, გვალვა), ასევე გრძელვადიანი ქრონიკული კლიმატური ცვლილებებით, როგორიცაა საშუალო ტემპერატურის მატება, რაც ჯანმრთელობაზე ახდენს გავლენას.
- ასევე, ინფრასტრუქტურის დაზიანებამ შეიძლება გამოიწვიოს წყლით გადამდები დაავადებების შედეგად გრძელვადიანი ჯანმრთელობის პრობლემები.

2. არაფინანსური ანგარიშგება

არაფინანსური საკითხები

არდი დაზღვევის გუნდი დაკომპლექტებულია პროფესიონალებით, რომლებიც ყოველდღიურად ზრუნავენ იმაზე, თუ როგორ გაუმჯობესდეს სადაზღვევო ბიზნესის გარემო. 2024 წლის ბოლოსთვის გუნდი გაფართოვდა 386 თანამშრომელამდე.

ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი, კომპანიაში შემუშავებული პოლიტიკიდან გამომდინარე თანამშრომელთა მოზიდვისა და შენარჩუნების პროცესს მართავს ორი მეთოდით: შიდა და გარე რეკრუტირების გზით. შესაბამისად, თანამშრომლებს კომპანიაში აქვთ განვითარების საშუალება და ხშირად იცვლიან პოზიციებს. ასევე, კომპანიაში მუდმივად ხდება პოზიციების ცვლილება და შესაბამისი კადრების დაწინაურება, რაც ხაზს უსვამს შიდა კარიერული ზრდისადმი კომპანიის დამოკიდებულებას და უზრუნველყოფს თანამშრომლების ორგანიზაციის შიგნით წინსვლისა და მათი პოტენციალის გამოვლინების შესაძლებლობებს.

თანამშრომლები კომპანიის მთავარი დასაყრდენია და კომპანია მუდმივად ზრუნავს, მათ განვითარებასა და შენარჩუნებაზე. პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელებისას კომპანია თანამშრომლებს სთავაზობს მრავალფეროვან პროგრამებს. არდიში შექმნილია არდი კამპუსის სივრცე, სადაც თანამშრომელთა სწავლა-განვითარებისთვის მუდმივად ხორციელდება პროექტები, რომლის მიზანია თანამშრომლებს შორის ცოდნის გაზიარება.

კომპანია აქტიურად უზრუნველყოფს ჯანსაღი ცხოვრების წესის წახალისებას და სთავაზობს არამწვევლ თანამშრომლებს დამატებით დასვენების დღეს. ასევე, კომპანიის თანამშრომლებს აქვთ საშუალება ისარგებლონ კვარტალურად თავისუფალი დღით.

პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელებისას კომპანია თანამშრომლებს სთავაზობს მრავალფეროვან პროგრამებს. არდიში შექმნილია არდი კამპუსის სივრცე, სადაც თანამშრომელთა სწავლა-განვითარებისთვის მუდმივად ხორციელდება პროექტები, რომლის მიზანია თანამშრომლებს შორის ცოდნის გაზიარება.

არდელების რიგებშია პირველი ხელოვნური ინტელექტის მქონე თანამშრომელი - არდიანა, რომელიც პირველი AI Enterprise ხმოვანი ასისტენტია მსოფლიოში, რომელიც ქართულ ენაზე საუბრობს. ის არდის დაზღვეულებს პირველ ეტაპზე ყველაზე მოთხოვნადი მომსახურების -

ოჯახის ექიმებთან ვიზიტების დაჯავშნაში ეხმარება უპასუხებს პირველივე ზარზე და არასოდეს დააყოვნებს მათ მოლოდინის რეჟიმში ყველაზე გაზრდილი მომართვიანობის დროსაც კი.

პროექტი ტექნოლოგიურ სტარტაპ CalenAI-სთან კოლაბორაციით შეიქმნა, რომელიც Georgian Startup Summit-ის ერთ-ერთი გამარჯვებული და Google-ის ჯილდოს მფლობელია Conversation Design-ის მიმართულებით. სუბიექტის ბიზნესმოდელის მიმოხილვა

კომპანია აქტიურად ავითარებს სადაზღვევო პროდუქტებს, რომლებიც მოიცავს მენტალურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებს და დანერგილი აქვს შიდა ფსიქოლოგიური პროგრამა, რომელიც თანამშრომლებს ეხმარება სტრესისა და მენტალური ჯანმრთელობის პრობლემების მართვაში.

სუბიექტის ბიზნესმოდელის მიმოხილვა

სს „არდი დაზღვევის“ პორტფელი ძირითადად კორპორატიულ და საცალო სექტორებს მოიცავს და მნიშვნელოვანი აქცენტი ჯანმრთელობის დაზღვევაზე კეთდება. კომპანია მიზნად ისახავს ამ პორტფელის გაფართოებას, შესყიდვის პროცესში გადმოღებული ეკოსისტემის გამოყენებით, როგორც საცალო, ისე კორპორატიული საბაზრო არხების მეშვეობით. კომპანიის სტრატეგია მიმართულია საშუალო და მაღალი შემოსავლის მქონე კორპორატიულ და საცალო კლიენტებზე, რომლებიც დაბალი ფასობრივი სენსიტიურობით ხასიათდებიან. ეს მიდგომა მიზნად ისახავს კომპანიის ძლიერ მხარეების გამოყენებას და ბაზრის სეგმენტებში სტაბილური ზრდის უზრუნველყოფას.

არდის ძირითადი საყრდენი არის კომპანიის თანამშრომლები, დაზღვეულები, პარტნიორები... ამ მოტივაციით კომპანიის მთავარი საფიქრალია, რა ბენეფიტი შეიძლება მოუტანოს ადამიანს ან კომპანიას, რომელიც შრომობს და თავის საქმეს აკეთებს. აქედან გამომდინარეობს უკვე პროდუქტიც და ნებისმიერი ციფრული გადაწყვეტილებაც; კომპანიამ შეიძლება გააკეთოს კარგი ვებგვერდი, კარგი აპლიკაცია თუ სხვა, მაგრამ მთავარი მოდის ეკოსისტემიდან.

სუბიექტის საქმიანობის რისკების ანალიზი


კომპანიის მიერ განხორციელებული სადაზღვევო საქმიანობა უკავშირდება ზარალების რისკის შეფასებას, რომელიც შეიძლება გამომდინარეობდეს ფიზიკური პირებისგან ან ორგანიზაციებისგან. ასეთი რისკები უკავშირდება ქონებას, ვალდებულების შესრულებას, უბედურ შემთხვევას, ჯანმრთელობას, ტვირთს ან სხვა საფრთხეებს, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას სადაზღვევო შემთხვევისგან. კომპანიისთვის მთავარი რისკი არის ზარალების ისეთი სიხშირე და სიმძიმე, რომელიც მოსალოდნელს აღემატება. მათი ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელია სადაზღვევო შემთხვევების თვისობრიობიდან გამომდინარე.

კომპანია ახორციელებს იმ ფიზიკური და იურიდიული პირების პოტენციური ზარალების შეფასებას, რომლებიც დაზღვეულები არიან ჯანმრთელობის, სიცოცხლის, პირადი უბედური შემთხვევის, ასევე ქონების და სხვა უბედური შემთხვევების დაზღვევის ხელშეკრულებებით. სადაზღვევო შემთხვევებს მოულოდნელობა ახასიათებს და წლის განმავლობაში მათი რეალური სიხშირე და მოცულობა, შესაძლოა, სტატისტიკური მოდელებით მიღებული პროგნოზებისგან განსხვავდებოდეს. კომპანია ამ რისკებს მართავს ერთი მხრივ, სათანადო ანდერაიტინგული კვლევით და მეორე მხრივ გადაზღვევით.

- ანდერაითინგის ერთ-ერთი მთავარი მიზანია არაერთგვაროვანი რისკების გაერთგვაროვნება და მათი მეშვეობით სწორი სადაზღვევო პორტფოლიოს შეკრება, შედეგების მუდმივი ანალიზი და მათზე დაყრდნობით მართებული მოქმედება.
- გადაზღვევა უზრუნველყოფს მიღებული ჯამური რისკის ნაწილის სანდო პარტნიორებთან გაზიარებას. კომპანია ყიდულობს გადაზღვევის პაკეტებს თავისი საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებისთვის: ავტო, ქონების, ტვირთის და პასუხისმგებლობა.

საქმიანობის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები

გენდერული თანასწორობა კომპანიისთვის პრიორიტეტად რჩება და მოხარულები ვართ, რომ 2024 წლის ბოლოს ქალები შეადგენდნენ ჩვენი სამუშაო ძალის 82%-ს. ხოლო, 2024 წლის განმავლობაში მიღებულ თანამშრომლებში ეს მაჩვენებელი შეადგენს 76%. ასევე გენდერული თანასწორობა დაცულია უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის შემადგენლობაში და ქალებისა და კაცების წილი წარმოდგენილია 50%-50%-ით.



კორუფციის რისკები და პოლიტიკა


კომპანიის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს კორპორაციული ეთიკის საუკეთესო სტანდარტების შენარჩუნება წარმოადგენს. მენეჯმენტი სრულად აცნობიერებს კორუფციისა და ქრთამის დამანგრეველ გავლენას კომპანიის რეპუტაციაზე, ასევე მომხმარებლის, ინვესტორისა და საზოგადოების ნდობაზე.

კორუფციისა და ქრთამის საწინააღმდეგო დებულებები დეტალურად არის გაწერილი კომპანიის შინაგანაწესში. ამასთანავე, თანამშრომლებისთვის პერიოდულად ტარდება

ტრენინგები კორპორაციული ეთიკის სტანდარტების დაცვის მიზნით, რაც უზრუნველყოფს ცნობიერების ამაღლებას და სათანადო ქცევის წესების დანერგვას.

გენერალური დირექტორი

მიხეილ ჯაფარიძე



2025 წლის 24 სექტემბერი

თბილისი, საქართველო

ფინანსური დირექტორი

ალექსანდრე ქავთარაშვილი

